პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—56

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 კ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 102 სამშაბათი 8 მაისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 20,000 მან.

№ 12

დღიური

იაპონია ღებულობს მონაწილეობას [illegible] მოთქმაზე.

რუსეთ-დანიის ხელშეკრულება მოწონებულ იქნა დანიის პოლიტიკურ წრეების მიერ.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა მთელ ევროპაში ფართე ხასიათს ღებულობს.

საფრანგეთი ცდილობს ახალი ინტრიგებით ავსტრია ჩაითრიოს გერმანია-რუსეთის წინააღმდეგ.

საოკუპაციო ჯარის მიერ დაკავებულია 52 მაღარო.

საქართველოს პარტიულ და საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორისაგან

კანტორა ამით აცხადებს ყველა დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ

მაისიდან

განცხადებები მიიღება მხოლოდ ოქროს ვალიუტით, გადახდის დღის არსებულ კურსის მიხედვით.

სტრიქონი ნონ-პარელით—10 კაპ. განმეორებით განცხადებებზე არა ნაკლებ 5-ჯერ—5 პროც. შეღავათი. არა ნაკლებ—10-ჯერ—10 პროც. სათეატრო განცხადებები არა უმეტეს 60 სტრიქონისა, 30 პროც. შეღავათი.

60 სტრიქონზე მეტი—ნორმალური ტარიფით.

სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრიქონისა—3 მან.

შრომის წინადადება—50 პროც. შეღავათი. საქმიო განცხადება—არა უმეტეს 5 სტრიქონისა—5 მან. თვეში 5 სტრიქონზე მეტი განცხადებაზე იგივე ფასია, რაც შრომის წინადადებაზე.

---

8 მაისს, საღამოს 7 საათზე

დანიშნულია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის

მორიგი სხდომა.

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ცაკის მდივანი პ. ხაბაშვილი.

ხუთშაბათს, 10 მაისს, საღამოს 6 საათზე

სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პლენუმის გაფართოებული სხდომა.

დღის წესრიგი: მოხსენება რ. კ. პ. მე-12 ყრილობის შესახებ. მოწვეულნი არიან აგრეთვე რაიკომები და პასუხისმგებელი მუშაკები.

თბილისის კომიტეტის მდივანის მაგიერ **რუბენი.**

ამიერ-კავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია.

სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს შორის ამტყდარ ქონებრივ დავის გადასაწყვეტად ა. წ. 11 მარტის დებულებისა („ზარია ვოსტოკა" № 221) და ამიერ-კავკასიის ცაკის ა. წ. 23 აპრილის („ზარია ვოსტოკა" № 261) დადგენილების თანახმად ამიერ-კავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიამ დაიწყო მოქმედება.

განცხადების მიღება სწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 3 საათამდე.—

თბილისი. სასახლე, № 27.

ამიერ-კავკ. უ. ს. კ. თავმჯდომარე **ა. შავერდოვი.**

მდივანი **იუზბაშევი.**

პარასკევს, 11 მაისს,

მთლიან პარტიულ დღის

მაგივრათ შესდგება საერთო რაიონული კრებები.

დღის წესრიგი:

მოხსენება რ. კ. პ. მე-12 ყრილობის შესახებ.

გამოდიან: 1 რაიონში—ამხ. ორჯონიკიძე და ორახელაშვილი.
2 „ ამხ. რუბენი.
3 „ ამხ. შ. ელიავა.
4 „ ამხ. მიხ. კახიანი.

თბილისის კომიტეტის მდივანის მაგიერ **რუბენი.**

კოოპერაციის როლი დღეს ჩვენში

კოოპერაცია—ეს მარტო დღევანდელი მოვლენა როდია. ის არსებობდა დიდი ხნით ადრე და ის ხავდა ათასნაირ მიზნებსა და ამოცანებს. მაგრამ ეს მისი ამოცანები და მიზნები მხოლოთ ლიტონ და ლამაზ სიტყვებათ რჩებოდა, ხოლო ცხოვრების ნამდვილი მიმდინარეობა კი თავისი გზით სწარმოებდა. იყვენ ისეთი უტოპისტები და გულუბრყვილოები, რომლებსაც ეგონათ, რომ კოოპერაციის საშვალებით მთელ სოციალურ გადატრიალებას მოახდენდენ და ამ გვარათ უკუღმართ კაპიტალს ნელნელა ძირს გამოუთხრიდენ. ისინი ამისთვის მთელ მოძღვრებასაც კი ქმნიდენ და დიდ აგიტაციას ეწეოდენ. მაგრამ ეკონომიური განვითარების ულმობელ კანონებს ეს ვერაფერს ვერ აკლებდა.

დღეს, როდისაც ჩვენს წინაშე არის კოოპერატიული მუშაობის მთელი ათეული წლების პრაქტიკა ევროპაში, შევვიძლიან თამამათ ვსთქვათ, რომ კოოპერაცია კაპიტალიზმის პირობებში ემორჩილება ამ უკანასკნელის კანონებს და მათ თავზე გადახტომა მას არ ძალუძს. კოოპერაცია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა იმავე მეთოდებით, როგორც კაპიტალიზმი და ტყვეთ უვარდებოდა კაპიტალისტურ ანარქიულ ბაზარს. ის განსხვავდებოდა უბრალო კაპიტალისტურ საწარმოთ თუ სავაჭრო დაწესებულებისაგან მხოლოთ მით, რომ ერთგვარ დამხმარე როლს თამაშობდა მუშებისათვის, რამდენათაც ეს უკანასკნელები შედიოდენ მასში წევრებათ (ბაზრის ფასებზე უფრო ნაკლებ ფასებში მიწოდება საქონლისა წევრებისათვის, სიღი და კარგი საქონლის მიწოდება და სხვ.). მაგრამ არსებითად კი ის ემორჩილებოდა უეჭველათ კაპიტალიზმის კანონებს, ხოლო თუ კი იყო შემთხვევა ამ კანონებისათვის გვერდის ავლისა, უსათუოთ მარცხით თავდებოდა ყოველთვის.

სულ სხვაა ჩვენს პირობებში, ე. ი. მაშინ, როდესაც კაპიტალიზმის ბატონობა დამხობილია და მთელი სამეურნეო ღონის ძიება მიმართულია კომუნისტური წარმოებისა და განაწილების გამაგრება განმტკიცებისაკენ. აქ, ასეთ პირობებში კოოპერაციის როლი შესამჩნევათ იცვლება და ემორჩილება წარმოების ახალ წესს. მაგრამ ის არა თუ უნდა ემორჩილებოდეს, არამედ რამდენათაც კი ძალ-ღონე შესწევს უნდა აძლიერებდეს და ამაგრებდეს მას.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ხანაში კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ და დღევანდელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკაც სწორეთ ამ გარდამავალი ხანის პოლიტიკაა და მიმართულია არსებითად კაპიტალისტური წარმოებისა და განაწილების წესის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ამ მიზნისათვის ყოველგვარი სამეურნეო ორგანიზაცია, რომელშიაც კი რამდენიმეთ მაინც ტრიალებს მუშური სული. კაპიტალიზმის პირობებში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო კომუნისტური სამეურნეო ორგანიზაცია, რომლითაც შეგვეძლო ჩვენ გვეხელმძღვანელა და ამ გვარათ გაგვეადვილებია ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობითი მუშაობა. ამიტომ მეტად რთული და ძნელია ჩვენთვის ეკონომიური საქმიანობა. მით უმეტეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა კოოპერაციას, როგორც საწარმოვოს, ისე მომხმარებელსაც.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ჩვენი მეურნეობის აღდგენისაკენ, ძალაუნებურათ ბადებს როგორაც არ უნდა გვსურდეს ჩვენ, სპეკულიაციას, რომელიც მძიმეთ აწევება ზურგზე უმთავრესათ და უპირველესათ მშრომელ მასებს. ვალიუტის რყევა და ქანაობა და ბონების კურსის დაცემა კიდევ უფრო აძლიერებს მას და იწვევს საერთო არევ დარევას.

ასეთ შემთხვევაში კოოპერაციას დიდი როლი ეკისრება. მან უნდა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ამ სპეკულიატიურ ვაკხანალიის და მით უზრუნველყოს მუშათა და საზოგადოთ მშრომელთა მასების, რომლებიც ამიერიდან უეჭველად უნდა იყვნენ კოოპერაციის წევრებათ, ნივთიერი მდგომარეობა.

დღემდის ის ნაკლებათ ტარდებოდა, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქონლის საბაზრო ფასები ხლაპრულათ იზრდებოდა სპეკულიანტების მახინაციის წყალობით ყოველ საათში, არ ცილდებოდენ ბაზარს დროებით მაინც და ამ გვარათ პირდაპირ სასოწარკვეთილებაში აგდებდენ მშრომელ ხალხს. ამის მაგალითები საკმაოა.

კოოპერაციის ასეთ საქმიანობას, რომელიც უვიცობისა თუ ჩვენი მტრების ბოროტი განზრახვის შედეგი იყო, ბოლო უნდა მოეღოს. კოოპერაციამ სხვა სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად მაგარი და ძლიერი ეკონომიური ფრონტი უნდა შექმნას კერძო კაპიტალისტებსა და თავგასულ სპეკულიანტების წინააღმდეგ და მათ გაუმაგროს სამეურნეო ხერხემალი ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს.

ამიერიდან კოოპერაციამ უნდა გამოსტაცოს კერძო მწარმოებლებსა და სპეკულიანტებს ბაზარზე ბატონობის იარაღი მოქნილი საქმიანობით და თვითონ გახდეს საქონლის ბაზარზე მოკარნახეთა და რეგულიატორათ.

აი ამას აკისრებს დღეს კოოპერაციას საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური პოლიტიკა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სხვა ჩვენ სამეურნეო ორგანოებთან ერთად ისიც შეიტანს საკმაოთ მნიშვნელოვან წვლილს ჩვენს სამეურნეო აღორძინების დიად საქმეში და მათ საკმაოთ შეუწყობს ხელს ჩვენს დაუღალავ საქმიანობას კაპიტალისტურ წარმოებისა და განაწილების წესიდან კომუნისტურ წარმოებისა და განაწილების წესისაკენ გადასასვლელათ.

ქ. კომუნაძე.

სავაჭრო-სამრეწველო აღწერისათვის საქართველოში

5 მაისს დაიწყო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა საქართველოში, აჭარაში და აფხაზეთში. აღწერა ეხება ყველა დაწესებულებათ განურჩევლად მათი სიდიდისა.

ამ აღწერამ უნდა მოგვცეს გარკვეული სურათი ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობისა. უნდა გავიგოთ, რა პირობებში მიმდინარეობს ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრება, რა ახასიათებს მას და რა ძლიერაა იგი, რა მდგომარეობაშია მანქანები და იარაღები. ჩვენ უნდა გავიგოთ თუ მოსახლეობის რა ნაწილია ჩაბმული მრეწველობაში და ვაჭრობაში; რომელი სქესისა და ჰასაკის. რა უფრო ძალიან არის განვითარებული, ვაჭრობა თუ მრეწველობა; ვაჭრობის და მრეწველობის რა სახე ვითარდება ჩვენში; რამდენად არის დატვირთული გადასახადებით და ხარჯებით ჩვენი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი.

ყველა ამის გაგება ესაჭიროება სახელმწიფოს, რომ მით უფრო მოხერხებულათა და საქმის ცოდნით მიუდგეს ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების აღორძინება განვითარების და დახმარების საქმეს. ცუდია ის მეურნე, რომელმაც ნათლად და გარკვევით არ იცის, თუ სად რა აქვს, რა მდგომარეობაში და რას საჭიროებს მისი მეურნეობა.

ესევე უნდა ითქვას სახელმწიფოზე—იგი არის მთელი ქვეყნის დიდი მეურნე.

გაურკვეველი და ბუნდოვანი გზით კი არ უნდა მივდიოდეთ, არამედ ნათლად და გარკვევით უნდა ვხედავდეთ, რაც ჩვენს გარშემო ხდება და ჩვენი მეურნეობის გეგმაც იმის მიხედვით უნდა შევადგინოთ, თუ რა ძალა, შესაძლებლობა და სახსარი მოგვეპოვება.

აი რისთვის გადასწყვიტა მთავრობამ აღწერის მოხდენა და გამორკვევა ჩვენი მრეწველობის თუ ალებმიცემობის. მხოლოდ ასეთი საშუალებით არის შესაძლებელი საჭირო მასალის მიღება.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ასეთი მუშაობა, ასეთი აღწერები ხშირია და ხალხისთვის არა სასურველი მოვლენა როდია. არა, იქ დიდი ხანია, რაც ასეთ აღწერებს ისე აღარ უყურებენ, როგორც სახელმწიფოს მიერ თავის მობეზრებას. ასეთი აღწერები იქ უფრო დაწვრილებით ხდება, ვიდრე ჩვენში. მოსახლეობა სიამოვნებით ხვდება იქ ასეთ აღწერებს, რადგან თვითეულმა იქაურმა მეურნემ კარგათ იცის, რომ მისი კეთილდღეობა მთელი ქვეყნის კეთილდღეობასთან არის დაკავშირებული და ამიტომ საჭიროა დაეხმაროს სახელმწიფოს თავის ქვეყნის შესწავლის საქმეში. ხომ არ შეიძლება სახელმწიფოს მოვთხოვოთ მფარველობა, რაცვა, მატერიალური დახმარება, შემცირება გადასახადების და ხარჯების, თუ სახელმწიფომ საკმარისად და სინამდვილით არ იცის თავისი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების პირობები და საჭიროებანი.

ასეთ მუშაობას-აღწერებს არ აწარმოებდა „ჩვენი" მეფის მთავრობა, რადგან მას არ სურდა გამოემჟღავნებინა თავისი წყობილების მთელი სიმყაყე, მას არ სურდა ხალხის კრიტიკა თავის დაწესებულებათა, მათ მართველობის მიმართ.

საბჭოთა მთავრობა კი—პირიქით, ყველა თავის დაწესებულებათ და მიღებულ ზომებს ხალხის ფართო წრეების კრიტიკის და მსჯელობის საგნად ხდის, მას არ ეშინიან ხალხის ცნობიერების, რადგან, რამდენადაც ხალხი მეტად არის გაცნობილი საქმეს, დარწმუნებულია მის დაწყებულებათა სისწორეში და სამართლიანობაში, იმდენად მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს კრიტიკის შედეგები, საჭირო არ არის დავხუჭოთ თვალი ჩვენს სინამდვილეზე, ჩვენს ნამდვილ ცხოვრებაზე.

ვაჭრებს, ხელოსნებს და მრეწველებს, როდესაც ეკითხებიან მათ საქმეზე, გაჭირვებაზე და გადასახადებზე, უპირველესად ჰგონიათ, რომ რაღაც ცუდი რამ არის მოსალოდნელი, რომ მთავრობას სურს შემოიღოს ახალი გადასახადები, გაადიდოს ძველები.

იმათ ნუ ჰგონიათ, რომ თავიანთი ყალბი ჩვენებით, ვინმეს მოატყუებენ, პირიქით, ყალბი ცნობები ყველასათვის შესამჩნევი, ნათელი ხდება მაშინ უწყებისათვის აუცილებელია ფიქრი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორეთ არ არის მიცემული ცნობები და რამდენათ უნდა იქნას იგი შესწორებული, გადიდებული „ტყუილის გამო". ეს ხომ თვით-მოსახლეობის, მისი სავაჭრო-სამრეწველო კლასის ინტერესებს არ შეადგენს.

ტყუილ ცნობებზე ვერ ააგებ სწორ წყობილებას და ისევე ვერ შექმნი საღ მეურნეობას, როგორც ქვიშაზე ვერ ააშენებ მკვიდრ შენობას.

მთელი ნდობა, მთელი სიმართლე, თანაგრძნობა და დახმარება—მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება მივიღოთ სწორი სურათი ჩვენი ცხოვრების.

მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ლაპარაკი გონიერ და ხალხისთვის თუ ქვეყნისათვის სასარგებლო სახელმწიფო საქმიანობაზე.

გარეშე სწორის აღრიცხვისა ვერ შეიცნობ სინამდვილეს, გარეშე სინამდვილისა მეურნეობაში ვერავერ საღს ვერ შეჰქმნი.

ცენტ. სტ. სამმართველოს გამგე
გრიგორიანი.

ცეკავშირის მეორე სესია და მისი მორიგი ამოცანები

შაბათს, 5 მაისს გაიხსნა სრულიად საქართველოს ცეკავშირის მორიგი სესია. საკითხები, რომელიც მან უნდა გადასჭრას, ერთობ რთული და სერიოზული არის. ყრილობასაც საქმიანი ელფერი აქვს. ის ყოველივე საკითხს ყოველ მხრივ იხილავს, და გამოაქვს ესა თუ ის დადგენილება. ადგილებიდან მოხსენებები ამტკიცებენ, რომ ცეკავშირის მუშაობას შესაფერი ნაყოფი გამოუღია. რაიონის და ძირითადი, იაჩეიკების აპარატები, რომლებიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ უძრავათ იყვნენ, ამუშავებულან. მაგრამ მის მოქმედებას, შემდეგ განვითარებას ბორკავს ფინანსიური ვაკხანალია, რომელიც დღეს სუფევს ბაზარზე და ეკონომიური კრიზისი. მიუხედავათ ამისა ასეული კოოპერატივები, რომლებიც კარებ გამოკეტილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დღეს მოქმედებენ და ათი ათასეულ მომხმარებელთ აერთიანებენ ცეკავშირის ახალი გამგეობის მოქმედების ხაზი არის სწორი, და რეალურ პირობებს შეეფერება. თავის თავად ცხადია, რომ მის მოღვაწეობაში არის ნაკლოვანებანიც, ზოგადი დიფექტები, მაგრამ არც ისე დიდი და სერიოზული, რომ მისი გამოსწორება შემდეგში მოუხერხებელი იყოს. ვინც მუშაობს, მოქმედებს, რეალურ ძალთა მოძრაობასთან აქვს საქმე თავის თავად ცხადია, რომ მის მოღვაწეობაში აუცილებელი არის დეფექტი.

სესიამ ყოველივე ეს გაითვალისწინა, აწონ-დაწონა და მთელი მოღვაწეობა ცეკავშირისა სრულიად დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

გადავიდეთ იმ კითხვებზე, რომელიც უნდა გადასჭრას სესიამ.

წარსულში როგორც ცეკავშირი, ისე მისი მოკავშირე კოოპერატივები ადგილობრივი ნაწარმოების დამზადებას საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ. ადგილობრივი კოოპერატივების არსებობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აქვს მას დაყენებული დამზადების საქმე, როგორ ახდენს ის დამზადებულის რეალიზაციას. სესიამ ადგილობრივი ნაწარმოების საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით უნდა დასვას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ადგილებიდან მოხსენებების შემდეგ ირკვევა, რომ გარეშე ამ პირობებისა ძირითადი იაჩეიკების არსებობა შემდეგში შეუძლებელი ხდება. ყრილობამ უნდა გამონახოს ბაზარი, რათა მისცეს გასავალი სოფლის ნაწარმოებს. აქ ჩვენ ძალაუნებურათ გვიხდება ლაპარაკი საზღვარ-გარეთის ბაზარზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ მველ ბაზარს დავიპყრობთ, მაშინ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილი არის და მისი ნაწარმოები ღირებულებას წარმოადგენს. სესია მ უნდა გამოსთქვას თავისი ავტორიტეტული აზრი თუ როგორ, რა გზით მოვახერხოთ ამ ბაზრის დაპყრობა და მისცეს სათანადო დირექტივები ცეკავშირს.

აგრეთვე სდგას საკითხი შინაური ბაზრის დაპყრობის შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ მრავალგვარი ზომები იყო მიღებული, ჩვენ ვერ მოგვიხერხებია შინაური ბაზრის დაპყრობა, ვერ გავმხდარვართ დიქტატორი, მბრძანებელი, რეგულატორი, ორგანიზატორი ბაზრისა და ხშირია შემთხვევა, როდესაც ამ ფუნქციებს ითვისებენ ჩარჩები. ჩვენ ეს უნდა დავძლიოთ აუცილებლათ ამას კი შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მივაღწევთ ძალების გაერთიანებას.

რაში გამოიხატება ერთიანობა?

პირველი—შინაგანი წინააღმდეგობათა მოსპობაში. დღევანდელ პირობებში ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის კავშირი რაიმე ხელშეკრულების დადების, ან კიდევ რაიმე დიდი ოპერაციების დროს ერთმანეთს ეჯიბრებიან. მთელ საქართველოში ათასზე მეტი დამოუკიდებელი კოოპერატივი არსებობს. თვითეული მათგანი ერთიმეორის დამოუკიდებლად ვაჭრობს, მოქმედობს, გამოდის ბაზარზე. ერთმა არ იცის რას აკეთებს მეორე, მესამე და ასე ბოლომდი. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში კონკურენციას ექნება ადგილი. ბიუროს ამოცანას შეადგენს ეს საკითხი აწონ-დასწონოს და შექმნას მძლავრი, კოოპერატიული, ყველასათვის სავალდებულო დისციპლინა, როდესაც ყველა ჩვენი სუსტი და ძლიერი ორგანიზაციები გაერთიანდებიან ერთ მძლავრ ხელმძღვანელი ორგანოს, ცეკავშირის გარშემო და ამოქმედდებიან ერთიანი გეგმით, როდესაც წინააღმდეგობას, კონკურენციას, სეპერატიულ გამოსვლას კავშირებისას აღარ ექნება ადგილი. დღეს კი ნამდვილი ანარქია სუფევს ამ მხრივ. ბრძოლის გამოცხადება ამ ანარქიის წინააღმდეგ შეადგენს ყრილობის საგანს.

შემდეგი კითხვა არის ცენტრალური სალაროს შექმნა, ერთი დიდი კოლექტივის დაარსება, სადაც თავს მოიყრის მსხვილი და წვრილი თანხების პატრონი ჩვენი მოკავშირე კოოპერატივები. ამით ჩვენ მოვახერხებთ თანხების რაციონალურად განაწილებას, როდესაც არც მძლავრი დაიჩაგრება და არც სუსტი. ყველა მიიღებენ სესხს თანასწორათ, საჭიროებისდამიხედვით, დღეს კი თვითეულ კოოპერატივს, რაიონის კავშირს, სოფლის პაწაწკინტელა იაჩეიკას თავისთვის აქვს სალარო, ბუხჰალტერია თანხას სწორად ვერ ხმარობს, არ არის დაახლოვებული ბაზართან, არც იცის თუ რა ხდება ფინანსიურ დარგში და არც ხელმძღვანელი აპარატი არის ისე კარგად მოწყობილი, რომ ყოველივე ეს საკითხი ნათელი გახადოს მათთვის. თუ როგორმე სოფლის კოოპერატივმა მოახერხა მოგროვება 20—30 მილიონის, მთელი თვეობით სალაროში ინახავს, შემდეგ ის კარგავს ღირებულებას, შეუძლებელი ხდება შეძენა საქონლის და კოოპერატივი ადგება გაკოტრების გზას. ბიურომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და ყველასათვის გასაგონათ უნდა აღიაროს, რომ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის შექმნა ცენტრალური სალაროსი და ასე შეიარაღებული მწყობრი გამოსვლა ბაზარზე, შეძენა საქონლისა ბითუმათ, რაც გაცილებით იაფი დაჯდება, და მათი განაწილება ძირითად იაჩეიკებზე. გაერთიანება მთელი ჩვენი რესურსების ერთ მძლავრ ორგანოში, უეჭველია წინ წასწევს საქმეს. ინიციატივა ბაზარზე საქონლის შესყიდვისა, ბრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ მიეკუთვნება ერთს. ჩვენ ვიქნებით ტონის მიმცემნი, მხოლოდ შეძენილი საქონლის გასაღება-განაწილება კი იქნება მოკავშირე კოოპერატივთა ხელში.

შემდეგი კითხვა შეეხება კრედიტებით სარგებლობას. დღევანდელი ცვალებადი მდგომარეობა ისეთ რთულ პირობებს ქმნის, რომ ამ საკითხზე მსჯელობა დიდ საძნელო საქმეს შეადგენს, მაგრამ ერთი რამ აშკარა არის: სესიამ უნდა დაადასტუროს, რომ მოკლე ვადიანი კრედიტი ძალიან სახიფათო საქმე არის და თანაც უსარგებლო. სანამ თელავის კავშირი ცეკავშირიდან მიღებულ საქონელს იქ ჩაიტანდეს და მოახდენდეს მის რეალიზაციას, დრო უკვე გავიდა და ცეკავშირი ურაკუნებს კარებზე, დრო უკვე გავიდა და აბა გადაიხადე ვალიო. ამრიგათ დატრიალება, მოძრაობაში მოყვანა არ მოუწყია კავშირს და მას უკვე ეუბნებიან ვალდებულება შესრულეო. ასეთი პრინციპი უარყოფილი უნდა იქნეს. და მოკავშირე კოოპერატივებს გაეხსნას გრძელვადიანი კრედიტი, რომ მათ შეეძლოს მობრუნება, მიხედ-მოხედვა თუ რა ხდება მის გარშემო, მოძრაობაში მოყვანა თანხის არა ერთხელ, არამედ ორჯელ მაინც. ეხლა კი ერთხელაც არ ეძლევათ ამის საშვალება. ამას თანავე ერთად სესიამ უნდა მოითხოვოს გრძელვადიანი სესხი, ურომლისოთაც ჩვენი არსებობა ბეწვზე ჰკიდია მიუხედავათ იმისა, რომ „ცენტროსოიუზი" ბევრს გვეხმარება.

ახლა შესახებ კოოპერატიული ბანკის ცალკე არსებობისა. საკითხი პირდაპირ უნდა დავაყენოთ. საჭირო არის თუ არა არსებობა კოოპერატიული ბანკის, როგორც ცალკე ორგანიზაციის. მოხდეს თუ არა მისი რეორგანიზაცია? კოოპერატივის ძირითად თანხას ნოემბერში შეადგენდა ათი მილიარდი მანეთი ქართული ბონებით. ეს თანხა სპეკულიაციამ, პროცენტების აღებამ თავისთავათ ცხადია გაზარდა, მაგრამ ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა ადგილობრივ კავშირს. ხშირია შემთხვევა, როდესაც კოოპერატიული ბანკი ცალკე აწარმოებს საქონლის შეძენის ოპერაციას, ვაჭრობს და სხვა ასეთებს. ცეკავშირი კიდევ ცალკე. იყო შემთხვევა კონკურენციისა, როდესაც კოოპერბანკი ნარმას ყიდდა ნაკლებ ფასში, ვიდრე ცეკავშირი. კოოპერბანკს აქვს თავისი საკუთარი აპარატი, გამგეობა, საბჭო, მოსამსახურეთა შტატი და თავისთავათ ცხადია, რომ თუ მან პროცენტები არ აიღო, ისე მისი არსებობა შეუძლებელია. კითხვა პირდაპირ ისმის, რომ ისეთ პატარა მასშტაბში, რომლის ბატონ-პატრონნი ვართ ჩვენ, კოოპერატიული ბანკის არსებობა ცალკე საზიანო არის და სპეკულიაციის განვითარებას უწყობს ხელს. ის მხოლოდ ხარჯებს იწვევს და მეტს არაფერს.

მტკიცება, რომ „ცენტროსოიუზს" აქვს კოოპერბანკი და ჩვენც უნდა გვქონდესო, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დამცველებს მე ურჩევ გადახედონ ბალანსი რუსეთის კოოპერბანკისა, რომელიც აბრუნებს თორმეტ მილიონს ოქროთი. განა რაიმე შედარების მოყვანა შესაძლებელი არის? მგონია, არა. ამიტომაც კოოპერატიული ბანკის რეორგანიზაცია აუცილებლად უნდა მოხდეს. თანხა მისი უნდა შეუერთდეს იმ დიდ სალაროს, რომელზედაც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი. ბიუროს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, რათა ეს კითხვა გადაუწყვეტელი არ დარჩეს.

უკანასკნელათ ჩვენ უნდა შევეხოთ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას. ყველამ იცის, რომ ვითომც სადღაც, სასახლის ქუჩაზე არსებობს ეგრედ წოდებული „წარმოკავშირი", რომელმაც დღევანდლამდე ვერ შესძლო მწარმოებლების გაერთიანება, ფართო მასასთან დაახლოვება. ბიუროს სხდომამ უნდა დაავალოს ცეკავშირს, რათა თავის დამკვრელ ამოცანათ დაისახოს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის დაარსება, დაფარვა მთელი რესპუბლიკის ტერიტორიისა ასეთებით, შექმნა მომქმედი და მძლავრი აპარატისა და მით დაკავშირება სოფლის მწარმოებლების და მომხმარებლების.

აი ის კითხვები, რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას სესიისაგან.

მოხე ცინცაძე.

ცეკავშირი და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობა

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ნიადაგი საქართველოში.

საქართველო მიწად-მოქმედების მხარეა, მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, რომელნიც უმთავრესათ მიწის დამუშავებას მისდევენ და ნაწილობრივ კი დაქსაქსულათ ეწევიან: მევენახეობას, მეაბრეშუმეობას, თამბაქოს მოწევას, მეცხვარეობა-მეჯოგეობას, მეღორეობას, მებაღეობას და სხვ. ყველასათვის აშკარაა, რომ საქართველოს ზემოაღნიშნული მეურნეობა აქამდე პრიმიტიულათ მუშავდებოდა. სად უნდა ვეძიოთ ამ მოვლენის ახსნა? ამის გაგება ადვილია, თუ გადავათვალიერებთ საქართველოს წინანდელი მმართველების მუშაობას ამ სფეროში; ნიკოლოზის ჩინოვნიკები ძალიან ცოტათი იტკივებდენ თავს ჩვენში კულტურის შემოსატანათ. ისინი, პირიქით, ქმნიდნენ ხელოვნურ დაბრკოლებებს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარებისათვის. შემდეგი მმართველები—ბატონი მენშევიკებიც ძალიან ცოტას ფიქრობდენ საქართველოს გლეხობის მდგომარეობაზედ, თუმც „ქართველი გლეხობა" ენაზედ ეკრათ. იმის თქმაც ზედმეტია, რომ მენშევიკებს ამ დარგში რაიმე გაეკეთებინოთ. ცხადია, რომ ღარიბი გლეხობის მდგომარეობაზე ის იფიქრებს, ვისაც მასზე გული შესტკივა და ასეთი კი საქართველოს ეხლანდელი მუშურ-გლეხური მთავრობა არის. საქართველოს გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე საკითხი ყველგან ისმება. ორი წლის არსებობის დროს საბჭოთა მთავრობამ, გარდა მიწების განაწილებისა, შესძლო თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობაში ძალიან დიდი საქმის გაკეთება გლეხებისათვის, ეს არის საქართველოს მელიორაცია—არხებით უსარგებლო მიწების განოყიერება.

ვისი სასარგებლოთაა ეს გაკეთებული, თუ არა გლეხობის. რა სარგებლობა მოუტანა გლეხობას ამ არხებმა, ეს ყველასათვის ნათელია. ვიმეორებ, თავისი ორი წლის არსებობაში საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობამ, გარდა სახელმწიფოს დალაგებისა საერთო მუშაობის ფარგლებში. კერძოთ გლეხობისათვის, ეს დიდმნიშვნელოვანი საქმის გაკეთებაც შესძლო.

დღეს, როდესაც სახელმწიფო სავსებით ჩამოყალიბდა (ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა), დაისვა საკითხი სოფლის მეურნეობის აყვავებისა და ევროპის კულტურის შემოღების შესახებ.

ვინ უნდა იკისროს ეს ერთობ ძნელი და დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარება?

ევროპაში და რუსეთში სასოფლო-მეურნეობის აყვავების საქმეს კოოპერაცია უდგია სათავეში, რომელიც ისე გონივრულათ უძღვება ამ საქმეს, რომ დღის ჩვენ განცვიფრებაში მოვდივართ მეურნეობის კულტივიზაციის შედეგებით.

საქართველოშიც ამ საქმეს მუშურ-გლეხური კოოპერაცია უნდა ჩადგომოდა სათავეში, რომელმაც უკვე დიდი სიმტკიცით და ენერგიით მოკიდა ხელი საქართველოს მეურნეობის აყვავებას.

2. რა დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობას კოოპერაცია.

ეხლა ჩვენს წინ ისმება პრაქტიკული საკითხები: ა) რა დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობას კოოპერაცია და ბ) როგორი მუშაობა უნდა იქნას წარმოებული ცეკავშირის მიერ, რომ დაქსაქსულ და პრიმიტიულ მდგომარეობაში მყოფ სამეურნეო კოოპერაციაში შეიტანოს კულტურა. პირველი საკითხის გასაშუქებლათ საჭიროა მოვიყვანოთ ევროპის და რუსეთის განვითარებული სასოფლო მეურნეობის რამოდენიმე დარგი, სადაც მხოლოდ კოოპერატიული მუშაობით სავსებით შეიცვალა სოფლის ეკონომიკა. კოოპერაციის წარმოშობის იდეა მხოლოდ ღარიბთ და გაჭირვებულებთ დაებადათ, რომელნიც ხედავდნენ, რომ ის საქონელი, რომელსაც ისინი ყიდულობდენ მრავალ ვაჭარ ბაცაცის ხელებში იყო გატარებული, რომელნიც საქონლის ფასს საზღაპროთ ჰყიდდა. ამას კიდევ ის ერთოდა, რომ საქონელი იყო ცუდი ხარისხის. ამ კერძო ვაჭრების თავიდან ასაცილებლათ და კარგი ხარისხის საქონლის შესაძენათ, კიდევ 1844 წელს ინგლისის პატარა საწარმოო ქალაქ როჩდელის მცხოველ მუშებმა პირველად დაარსეს იმ სახის სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც დღემდე არსებობს. სამომხმარებლო კოოპერაციის სარგებლიანობამ დაბადა კოოპერაცია მეურნეობაშიც. რამ ჩააფიქრა გლეხობა?

ა) მსხვილ მემამულეს პირდაპირი უშუალო კავშირი ჰქონდა დიდ ფირმებთან, საიდანაც ის საქონელს იაფათ ღებულობდა ვაჭარ ბაცაცების ხელში გაუვლელათ, როდესაც ამას ცალკე გლეხი მოკლებული იყო, ბ) მემამულეს ნდობა ჰქონდა ბანკში, საიდანაც ღებულობდა სესხს მეურნეობის გასაუმჯობესებლათ 5—6 პრ. და შემდეგ ნაწილს კი ასესხებდა ღარიბ გლეხობაზე, რომელთაც ბანკი არ ენდობოდა, 30-დან 50 პროც. გ) მემამულე თავის დიდი მამულების დასამუშავებლათ იძენდა მიწის სამუშაო იარაღებს, სახნავს, სათესს, სალეწს, სათიბს და სხვა, რომელი იარაღებიც ამცირებდენ მუშა ძალის დახარჯვას წარმოებაზედ, რაც აიაფებდა ნაწარმოებს, მაშინ როდესაც გლეხს იმ მანქანების შეძენაც არ შეეძლო და რომ შეეძინა საჭიროც არ იყო მისი 3—4 დესიატინა მიწისათვის, გ) მემამულის ძროხა იძლევა 2 ვედრო რძეს დღე და ღამეში, მაშინ როდესაც გლეხის ძროხა იძლევა ერთ [illegible] და ნაკლებს. რატომ? იმისათვის რომ მემამულეს ყავს დიდი ჯოგი საქონლისა, შეიძინა კარგი ჯიშის ხარი და მოანერგა კარგი ჯიშის ძროხებიც, ამას ღარიბი გლეხი ვერ შეება. დ) მემამულე ერთ ფუთ ერბოს ღებულობს 21 ფუთი რძისაგან, როდესაც გლეხი იმავე ერთ ფუთს ღებულობს 30—32 ფუთისაგან. რატომ? იმიტომ რომ შეძლებულ მემამულემ იყიდა სეპარატორი (ერბოს სადები იარაღია) და გლეხმა ეს კი ვერ შესძლო და რომ იყიდოს, მაინც რძე იმდენი არა აქვს, რომ გადაამუშაოს სეპარატორმა და სხვა ასეთი უთვალავი. ყველა ამ ზემოაღნიშნულ ცხოვრების უკუღმართობამ ღარიბი გლეხობა ჩააფიქრა, ისინი 10—15 და მეტი შეერთდნენ ერთად და დაარსეს კოოპერატივი მაგ. სარძეო მეურნეობის, შეაგროვეს მთელი თავიანთი რძე, შეისყიდეს სეპარატორი და აგრეთვე დაადგინეს ერთი წლის განმავლობაში რძის საფასური არ გაეტანათ. საქმე ისე შებრუნდა, რომ ერთი წლის შემდეგ ყველა წევრებმა თავიანთი რძის ღირებულებიც გაიტანეს და თან, როგორც ქარხანა ისე სეპარატორი და საბრუნავი თანხაც დარჩათ. მაგ. ასე მოეწყო რუსეთში, ციმბირში ბალაკშინის მერძევეთა კოოპერატივი, რომელსაც 1914 წ. ომის დაწყებამდე, ჰქონდა წარმომადგენლობა და სავაჭრო განყოფილებები საზღვარ გარეთ ბერლინში და ლონდონში, რამოდენიმე მილიონი მანეთის საბრუნავი თანხით. 1921 წ. სტატისტიკა გვეუბნება, რომ შვეიცარიაში ასეთი მერძევეთა ამხანაგობები ითვლება 3518—102677 წევრით. მეორე მაგალითი—საქონლის ჯიშის გაუმჯობესება; ამერიკაში შტატი ონტარიოს ძროხები იძლევიან დღე ღამეში 3 ნახ. ვედრო რძეს, ანუ 2 ნახ. ფუთს. აქედან შეგვიძლია დავინახოთ, თუ რამდენათ სასარგებლოა საქონლის ჯიშის გაუმჯობესება. ამას კერძოთ ცალკე გლეხები ვერ შესძლებენ, თუ მრავალი გლეხობა შეერთებული არ იქნებიან კოოპერატივში. იმავე შვეიცარიის სტატისტიკა გვეუბნებოდა, რომ 1920 წ. შვეიცარიაში არსებობდა 1759 საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებელი საზოგადოება — 147.628 წევრით. 1914 წ. სტატისტიკა გვეუბნება, რომ გაერთიანებულნი მიწათ-მოქმედების საწარმოო კოოპერაციამ ევროპაში ათი წლის განმავლობაში ისე განავითარა მიწის დამუშავების ტეხნიკა, რომ დესეტინაზე მოსავალი 60 დან 150 ფუთამდე გაიზარდა. აგრეთვე შვეიცარიის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას 1910 წელში 123 საელექტროფიკაციო ამხანაგობები ყავდა, რომლის რიცხვი 1920 წელს 374 მდე გაიზარდა. აშკარაა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ მეურნეობის ყოველ დარგში შეტანილი კულტურის ჩამოთვლა შეუძლებელია, ასეთი განვითარება განიცადა ევროპის მევენახეობამ, მეჯოგეობამ, მებაღეობამ და სხვა სადაც ისეთივე რადიკალური ცვლილებებია შეტანილი, როგორც ზევით მოყვანილ მაგალითებში. ზევით ნათქვამიდან სჩანს, თუ რა დახმარებას უწევს კოოპერატიული მუშაობა მეურნეობას.

3. ცეკავშირის მორიგი ამოცანები სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში.

ეხლა გადავდივართ მეორე საკითხზედ, თუ როგორი სახის მუშაობა იქნება წარმოებული ცეკავშირის მიერ ამ სფეროში. დღეს საქართველოში არსებობს წვრილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მეღვინეთა, მეცხვარეთა და სხვები. როგორაა დაყენებული საქმე ამ კოოპერატივებში? ისევე პრიმიტიულათ, როგორც კი გაჩენილა ამ ქვეყნად. რა არის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ იქ კოოპერატიული არაფერი არ კეთდება. ეს ორგანოები მხოლოდ მეურნეობის მიერ დამზადებული ნაწარმოების გაყიდვას ეწევიან. ისინი არ ხსნიან სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს (ამ საკითხზე ცალკე ვილაპარაკებთ), არ ექცევა ყურადღება ვაზის ჯიშის გაუმჯობესებას, ცხვარის კარგი ჯიშის გამრავლებას, გლეხებს არ აწვდიან სამეურნეო იარაღებს. დღეს, როდესაც სასოფლო-მეურნეობის საქმე საქართველოში ასე უმწეო მდგომარეობაშია, ცეკავშირის წინაშე სდგას საკითხი საქართველოს მეურნეობის წინსვლის დაყენებისა, ეს მან უნდა გააკეთოს. გაცოცხლებული სამომხმარებლო კოოპერაციას გვერდით სასოფლო მეურნეობის კულტივიზაცია უნდა მისდევდეს. რუსეთის კოოპერაციამ ცეკავშირს გაუხსნა სესხი სამეურნეო კოოპერაციის აღსადგენათ საქართველოში. ეს თანხა რაც შეიძლება მალე უნდა იქნას მოხმარებული მისი დანიშნულებისათვის, უნდა იქნეს შეძენილი სამეურნეო იარაღები, როგორიცაა, მიწის სახნავი, სათესი, საფარცხი, სათიბი, სალეწი, ვაზის სარწყავი მანქანები, სეპარატორები; უნდა მოეწყოს კურსები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინსტრუქტორთათვის. უნდა იქნას გახსნილი საჩვენებელი სარძეო ფერმები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. და ასე უნდა იქნას შეკავშირებული შემდეგი სასოფლო სამეურნეო წარმოებანი; მეღვინეთა, მეაბრეშუმეთა, მეცხვარეთა, მეჯოგეთა, მეღორეთა, მებაღეთა, მერძევეთა და სხვა.

ყველა ამ დარგში უნდა იქნას გადადგმული ნაბიჯები ახლო მომავალში. ამას ცეკავშირი შეძლებს. და ამ სფეროში მომუშავეთა მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს მეურნეობის კულტივიზაცია და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება.

ზემო აღნიშნულის გარდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერაციის მშენებლობაში შევა სოფლების ელექტროფიკაცია. ზოგს შესაძლოა ეს ეხლანდელ მომენტში შეუძლებლათ მოეჩვენოს, მაგრამ ეს დაუძლეველი რამ არ არის. რისიც გაკეთება ერთისათვის საძნელოა, ის მრავალთათვის ადვილი საქმეა.

აგრეთვე კოოპერაციამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის კულტურულ განვითარებას. ყველა ეს ზომები მიმართულია ღარიბი გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, და ამას შესძლებს მხოლოდ საქართველოს მუშურ-გლეხური კოოპერაცია ცეკავშირის სახით.

[illegible]

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

საბოტაჟი არ სუსტდება.

ბერლინი. 4 მაისი. ფრანგების მიერ დაჭერილ რურის ოლქის რკინის გზებზე შენიშნულია საბოტაჟის ახალი აქტები.

აფეთქება ესსენში.

ბერლინი. 4 მაისი. ესსენის სადგურზე მოხდა დიდი აფეთქება. გაფუჭებულია ტელეგრაფის ყველა მავთულები. აფეთქების აქტი, როგორც ფიქრობენ, მიმართული იყო საფრანგეთის მატარებლის მიმართ, რომელიც იქვე ახლოს მიდიოდა.

კელნის ახლოს აყრილია რკინის გზის ხაზი. ბოროტმოქმედნი ვერ იპოვეს.

ისევ ასახლებენ.

ბერლინი 4 მაისი. ფრანგებმა რურის ოლქიდან კვლავ განდევნეს გერმანელ რკინის გზელთა 170 ოჯახი.

ფრანგების ძალადობა.

ბერლინი. 4 მაისი. მცირე ხნის განმავლობაში ფრანგების მიერ დაკავებულია 50-ზე მეტი მაღარო.

კრუპის ქარხნების დირექტორების გასამართლება.

ბერლინი. 4 მაისი. ვერდენში გაასამართლებენ კრუპის ქარხნების დატუსაღებულ დირექტორებს.

ფრანგები დამხმარე ძალებს ეზიდებიან.

ბერლინი. 4 მაისი. სამხედრო სასამართლოს მუშაობის დასაცავად ფრანგებმა დამხმარე ძალები მოიყვანეს მძიმე არტილერიით.

გერმანიის წინადადება საფრანგეთისათვის მიუღებელია.

ბერლინი 4 მაისი. საფრანგეთის კაბინეტმა დაადგინა გერმანიის წინადადებანი მიუღებლად იცნოს. ამის გამო პარიზის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ოფიციალური განცხადება ამ გადაწყვეტილების შესახებ ძალიან ფრთხილად არის შედგენილი. გერმანიის ნოტას თუ შედეგათ არ იქნება გერმანიის და საფრანგეთის მოლაპარაკება, ყოველ შემთხვევაში მიზეზი მაინც იქნება მოკავშირეების აზრთა გაცვლა-გამოცვლის, რაც გავლენას მოახდენს ამ უკანასკნელთა გერმანიისადმი დამოკიდებულებაზე.

ბონარ ლოუ და კერზონი იტალიაში მიემგზავრებიან.

ბერლინი 4 მაისი. „ფოსიშე ცეიტუნგის" რომის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ორშაბათს რომში ელიან კერზონის და ბონარ-ლოუს ჩამოსვლას ინგლისისა და იტალიის დამოკიდებულებათა გამოსარკვევად. „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის ცნობით ლონდონის წრეებს აზრათ აქვთ ინგლისის, იტალიის და ამერიკის გეგმის გამორკვევა რურის კონფლიქტის გადაჭრის შესახებ.

ბრიუსელში მსჯელობენ საფრანგეთის პასუხის შესახებ.

ამ ჟამად ბელგიის მთავრობა მსჯელობს პუანკარეს პასუხზე გერმანიის მიმართ. ფიქრობენ, რომ დღეს ის გადაეცემა გერმანიის მთავრობას.

ლონდონის ბანკირები არ თანაუგრძნობენ.

პარიზი. 5 მაისი. „ტაიმსი" გერმანიის წინადადებას მეტად ბუნდოვან თ სთვლის და აცხადებს, რომ ლონდონის ბანკირები გერმანიისათვის სესხის მიცემას მეტად სკეპტიკურად უყურებენ.

კუნოს კაბინეტის დაცემა ახლოა.

პარიზი 5 მაისი. ინგლისის გაზეთების უმრავლესობა ფიქრობენ, რომ კუნოს კაბინეტის დაცემა ახლოა.

ამერიკის პრესის აზრი.

ბერლინი. 4 მაისი. ნიუ-იორკის გაზეთების უმრავლესობა დადებითად ლაპარაკობენ გერმანიის ნოტაზე. „ნიუ-იორკ ვორლდ"-ის აზრით, პუანკარემ უნდა დაგვანახოს ეხლა, სურს მას საკონტრიბუციო საკითხის მოგვარება, თუ სხვა რაიმე მიზანი აქვს მას. „ნიუ იორკ ტაიმსი" და „ნიუ იორკ გერალდი" ფიქრობენ, რომ გერმანიის ნოტა საფუძველი იქნება მოკავშირეების და გერმანიის მოლაპარაკების.

გერმანია და ანტანტა

გართულების წინ.

ბერლინი. 4 მაისი. რომიდან და პარიზიდან გერმანიის ნოტის შესახებ მიღებული ცნობები მეტად პესიმისტური ხასიათის არიან. ამის გამო რომში ბევრს ლაპარაკობენ ახლო ხანში ევროპაში მოსალოდნელ გართულების შესახებ.

კიდევ ვერ შეისწავლეს.

ბერლინი 4 მაისი. „ლოკალ ანცაიგერ"-ი გადმოგვცემს, რომ ახლო მომავალში გერმანიაში გაემგზავრებიან ინგლისის პოლიტიკური მოღვაწეები და მრეწველები საირეპარაციო საკითხის შესასწავლად.

გერმანიის პასუხი.

პარიზი. 4 მაისი. გადმოგვცემენ, რომ გერმანიის ნოტაზე პასუხს გასცემს საფრანგეთი დღეს, ხოლო ინგლისი და იტალია შაბათს.

საფრანგეთის პრესა ნოტის შესახებ.

პარიზი. 4 მაისი. „ტანი" გერმანიის ნოტის შესახებ ამბობს, რომ სანამ გერმანია განაგრძობს პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკას, შეუძლებელი იქნება საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა. „ჟურნალ დედება", იზიარებს რა ამავე აზრს, აღნიშნავს, რომ ასეთ პირობებში გერმანია ვერავითარ კრედიტს ვერ მიიღებს. მას მდგომარეობიდან გამოსავალ საშუალებად მიაჩნია გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრის გასვლა მთავრობიდან.

ვერ დაკმაყოფილდნენ.

ბერლინი. 4 მაისი. „ფოსიშე ცაიტუნგის" კორესპონდენტი რომიდან იუწყება, რომ გერმანიის ნოტამ იტალიის ოფიციალურ წრეებში ვერ დასტოვა სავსებით დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება. მიუხედავათ ამისა ნოტას ხელსაყრელ საფუძვლათ აღიარებენ მოლაპარაკების დასაწყებათ.

რომის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის წინადადებები ზოგიერთ ნაწილში ეთანხმება მუსოლინის მიერ ლონდონში თავის დროზე გაკეთებულ წინადადებებს.

ფაშიზმის გახრწნა

რომი. 5 მაისი. იტალიის კაბინეტიდან მუსოლინის მთავარ თანამოღვაწე დე-ვეკკის წასვლით, რომელიც ფაშისტების შეიარაღებულ ძალების მთავარსარდლათ დარჩა მხოლოდ, კრიზისმა, რომელსაც ფაშიზმი განიცდის, უმაღლეს წერტილს მიაღწია. დე-ვეკკის წასვლას უკავშირებენ მუსოლინის განზრახვას არ გაამჟღავნოს დამოკიდებულება დაწესებულებთან. ფიქრობენ, რომ მღელვარე ამბების თავიდან ასაცილებლად მუსოლინს მოუხდება თავის დიქტატურის შერბილება.

მუშები ებრძვიან ფაშიზმს.

პარიზი. 5 მაისი. მილანში იმ რეპრესიების საწინააღმდეგოთ, რომელიც მიღებული იყო მუშების წინააღმდეგ პირველი მაისის გამოსვლებში მონაწილეობისათვის, ტრამვაის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

ფაშიზმის ახალი მსხვერპლები.

რომი. 5 მაისი. კანდელიდან იტყობინებიან, რომ ღამით ქალაქის მიდამოებში ადგილი ჰქონდა კომუნისტების და მუშების ბინების გაჩხრეკას. აღმოჩენილ იქნა პროკლამაციები ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებით. დატუსაღებულია 50 კაცი, რომლიდანაც 30 დაკითხვის შემდეგ განთავისუფლებული იქნა.

იაპონია სრულიად რუსეთის გამოფენაზე.

რიგა. 4 მაისი. იაპონიის ხე-ტყის მრეწველთა ჯგუფის წარმომადგენელი ენერგიულ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს იაპონიის სახელმწიფო და კერძო ფირმების მიერ სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

რუსეთ-დანიის ხელშეკრულება

კოპენჰაგენი 4 მაისი. „კოპენჰაგენერ ტიდენდეს" ცნობით, დანიის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ სასარგებლოდ აღიარა რუსეთ-დანიის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ინგლისის ამბები

პოლონეთი

ფოში ვარშავაში.

პარიზი. 5 მაისი. მარშალი ფოში ვარშავაში ჩამოვიდა და დაესწრო პონიატოვსკის ძეგლის გახსნას. ძეგლის გახსნის შემდეგ ფოშმა გენერალ გალლერს გადასცა „საპატიო ლეგიონის" დიდი ოფიცრის ჯვარი და შემდეგ ჯარების ალლუმს დაესწრო. ვარშავის მუნიციპალიტეტმა ფოშს ბანკეტი გაუმართა, ბანკეტის დროს მას უწოდეს ვარშავის „საპატიო მოქალაქის" სახელი.

ანგარიშს აბარებენ მეპატრონეს.

ვარშავი. 5 მაისი. გუშინ, ფოშის თანდასწრებით, ვარშავაში მოხდა პონიატოვსკის ძეგლის გახსნა. ძეგლის გახსნის შემდეგ გაიმართა პოლონეთის ჯარების ალლუმი. ალლუმი ატარებდა საფრანგეთიდან მიღებული ფულის შესახებ პოლონეთის მთავრობის მიერ ფოშის წინაშე ანგარიშის ჩაბარების ხასიათს. პოლონეთის პრესა დაწვრილებით ახასიათებს მრავალ-რიცხოვან ბანკეტებს ფოშის საპატივცემულოდ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოლონური მარკა კიდევ უფრო დაეცა.

ფოშის შემდეგ რუმინეთის მეფე

ვენა. 5 მაისი. რუმინეთის მეფეს განზრახული აქვს 25 მაისს გაემგზავროს ვარშავში. ბუქარესტის წრეებში მის გამგზავრებას აძლევენ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

გერმანია

პრუსიის ლანდტაგში.

პარიზი. 5 მაისი. როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, პრუსიის ლანდტაგმა 248 ხმის უმრავლესობით 79 წინააღმდეგ უარი სთქვა ნაციონალისტების მავნე მოქმედების საკითხის დღის წესრიგში დასმაზე.

ესპანია

ფაშიზმი ისპანიაში

რომი, 5 მაისი. ბარსელონაში არჩევნების დროს ნაციონალისტებმა მუნიციპალიტეტის დარბევა მოახდინეს.

იტალია

ჯარიმა პირველი მაისის დღესასწაულობისათვის.

რომი. 4 აპრილი ლომბარდიის მრეწველებმა დაადგინეს დააჯარიმონ ის მუშები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პირველი მაისის დღესასწაულში ნახევარი დღის სამუშაო ხელფასის რაოდენობით.

პირველი მაისი რომში.

რომი. 4 მაისი. 1 მაისს რომში არ მუშაობდნენ მელითონეები, პურის მცხობლები, მეხორცეები და თერძები, ქარხნების უმეტეს ნაწილში მუშაობა სწარმოებდა.

სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობა

საეკლესიო ყრილობის რეზოლუცია.

მოსკოვი. 4 მაისი. სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობა კაპიტალიზმს აცხადებს მომაკვდინებელ ცოდვათ და მასთან ბრძოლას სავალდებულოთ სთვლის ყოველ ქრისტიანისათვის. საბჭოთა მთავრობაში ყრილობა ხედავს ძმობა-ერთობის და ხალხთა კავშირის საერთაშორისო ბელადს.

დაწყებული 1917 წ. ზაფხულიდან, ამბობს რეზოლუცია, ეკლესია ცდილობს თვითმპყრობელობის აღდგენას. პატრიარქი ითრევს ეკლესიას კონტრ რევოლუციონურ ბრძოლაში. ყრილობა სწუხს საბჭოთა მთავრობის და ყველა მის მომხრეების ეკლესიდან განდევნას და ანათემას ყოვლად ძალამოკლებულათ აცხადებს. ყრილობა მოუწოდებს ყველა საეკლესიო ხალხს თავი დაანებონ ეკლესიის ამ ქვეყნიურ პოლიტიკურ ანგარიშების გასასწორებელ იარაღათ გამოყენებას, ეკლესია მხოლოდ ღმერთს უნდა ემსახუროს. ყრილობა აუქმებს პატრიარქალურ მმართველობას და საყრილობო მმართველობას აწესებს. რეზოლუცია მიღებულ იქნა ხუთის თავშეკავებულის და ერთის წინააღმდეგ.

3 მარტს ყრილობამ აუცილებლად სცნო ეპისკოპოზების ქორწინებაში დაშვება უქორწინო პირთა არსებობასთან ერთად. ამ დადგენილებას მიემხრო ყრილობის ყველა 46 ეპისკოპოზი.

4 მარტს ყრილობამ გაარჩია სასულიერო პირთა მეორე ქორწინების საკითხი და გადავიდა (ცრუმორწმუნეობის და წმინდათა ნაშთების საკითხის გამორკვევაზე. იმის გამო, რომ მრავალმა მღვდელმა განაცხადეს, რომ 1918 წ. ისინი დარწმუნებული იყვნენ ნაშთების შენახვაში ამიტომ ყრილობამ გადაწყვიტა დაეკითხოს კრებაზე დამსწრე ეპისკოპოზებს, იცოდენ თუ არა მათ რაიმე ნაშთების ნამდვილ მდგომარეობის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

სამშაბათს, 8 მაისს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირების საბჭოს პატარა დარბაზში იწვევს პოლიტიკური წრეების, პარტიული სკოლების ხელმძღვანელების და უჯრედთან მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგების და მდივნების

თათბირს

დღის წესრიგში დგას საკითხი:
საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის ჯამი

ვინაიდან ახლო ხანში მოხდება პოლიტიკური ცოდნის შემოწმება და აგრეთვე საჭიროა საამისო მეთოდების გამომუშავება, ყველა მოწვეულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტეტის მდივნის მაგიერ ივანოვი.
საგიტაციო-საპროპ. განყოფილების გამგე ესენი.

პარტიული მუშაობა ბათუმის ოლქში მარტში

(დასასრული, იხ. „კომ." № 101).

პროპაგანდა. 1) მოწყობილია 6 პოლიტწრე, რომლებშიაც მეცადინეობს დაახლოებით 600 კაცი, 2) გამორკვეულ იქნა საკლუბო მუშაობის მდგომარეობა, 3) მოხდა პარტსკოლის კურსანტების შეკრება, 4) შედგენილია წრე უმაღლესი ტიპისა, 5) მიეცა მასწავლებლები პოლიტგანათლების შესასწავლათ პირველი და მეორე ტეხნიკუმებს, შექმნილია მარქსისტური წრე პარტსკოლასთან, 6) შეკვეთილ იქმნა მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობაში პარტწიგნთსაცავისათვის ლიტერატურა 200 მილიონი მანეთის ღირებულებისა ამიერკავკასიის ბონებით, 7) ხუთ უჯრედს მიეცა კარგი წიგნსაცავები, 8) მოწყობილ იქმნა ხელისმოწერა მოსკოვის პერიოდულ გამოცემებზე, 9) მიცემულია ფული გასაკეთებლად პოლიტლიტერატურა. ცენტრმა მოგვაწოდა ფული გაზეთებისათვის. ეწყობა (მთავარ განათლების აპარატის საშუალებით) საგაზეთო წრეები მუშათა კლუბებთან და იქმნება მუშა კორესპონდენტების ქსელი.

სწარმოებს ინტენსიური მუშაობა ნაციონალურ უმცირესობათა შორის. ბერძნულ სექციასაც აქვს თავისი გაზეთი და პოლიტსკოლა. აგრეთვე სომხებს აქვს თავისი სკოლები პოლიტგანათლებისა და წერა-კითხვის. აქვთ საბჭოთა სკოლაც. სომხებში ვრცელდება ლიტერატურა.

საერთოდ საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებამ ძალიან გააუმჯობესა თავისი მუშაობა. ის უგზავნის თეზისებს ყველა კითხვებზე უჯრედებს და სათანადო დონემდე აიყვანა ლიტერატურით მომარაგების საქმე.

მუშაობა ქალთა შორის. ქალთა განყოფილება აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა კამპანიების ჩატარებაში, განსაკუთრებით ქალთა საერთაშორისო დღის დღესასწაულში. ეს კამპანია ჩატარდა ბათუმის მუშა ქალთათვის ჯერ უნახავი ხალისით. ამ დღისათვის მოწვეულმა უპარტიო ქალთა კონფერენციამ გადაწყვიტა მთელი რიგი საქმიანი კითხვებისა. მაგალითად: ახსნა-განმარტება მიწის რეფორმის ქალთა უფლებრივი დაცვა და სხვა. კონფერენციაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდენ მუსულმანი ქალებიც. წარმოება-დაწესებულებებში მოეწყო 17 კრება, რომლებზედაც ირჩეოდა კითხვები: 1) ქალის მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში, 2) ქალის შრომის დაცვა, 3) კოოპერაცია და ქალი 4) მესამე კომინტერნის წარმოშობა და მისი განვითარების ისტორია და სხვა. მოეწყო ქალთა შორის მომუშავე ინსტრუქტორების თათბირი. თათბირზე დასმულ იქნა საკითხი მორიგ ამოცანებზე ქალთა შორის მუშაობისა, რის შემდეგ შემუშავებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა. დელეგატთა კრებები მოეწყო 2, გაირჩა კითხვები უპარტიო ქალთა კონფერენციის შესახებ და დედობისა და ბავშვთა დაცვის შესახებ. ქალთა განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო „უმუშევარ მოზარდის კვირეულის" ჩატარებაში. შექმნილია კომისია საბავშო სახლების მდგომარეობის გამოსარკვევად.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. საანგარიშო თვეში ახ. კომკავშირის ოლქში უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა ორი კამპანიის ჩატარებას: 1) „სპარტაკის" გამაგრების კვირა და 2) „უმუშევარ მოზარდის კვირეული". სპარტაკი სარგებლობს ძლიერი გავლენით ახალგაზრდობაში. დაწყებული იყო სამზადისი „კომკავშირის აღდგომის" ჩასატარებლად. ამ მიზნით გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია. წარმატებით მუშაობს კომკავშირის კლუბი, უკანასკნელთან მოწყობილია პოლიტიკური წრე, დრამატიული წრე 3 —სომხური, ქართული და რუსული, ლიტერატურული, ზამბატის და მომღერალთა წრეები. კომკავშირი თავის ძალებით უშვებს „კედლის გაზეთს". კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი ესწრება პარტკომის სხდომებს. პარტკომის მიერ მიმაგრებული ხელმძღვანელები კომკავშირის უჯრედებზე მუშაობენ ნაყოფიერად.

ა. შ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.

(7 მაისი)

ოქროს 10 მან.—14,900 ათასი.
გირ. სტერ. — 7,900 ათასი.
დოლარი — — 1,850 ათასი.
ოსმ. ქალ. ლირა— 1,350 ათასი.
საბჭოთა ნიშნები— 17 ათასი

ძვირფასი ლითონების კურსი.

(7 მაისი)

ოქრო 96 სინჯ. მისხალი—3 მან. 60 კაპ. ოქრო 56 სინჯ.—1 მ. 80 კ. ვერცხლი 84 სინჯ.—7 კ. ხურდა ვერცხლის ერთი მანეთი—18 5 კაპ.

ვალუტის ბაზრის განწყობილება.

(7 მაისი)

განწყობილება აწეულია, მიუხედავათ კურსის ცოტაოდენი გადიდებისა. მოთხოვნილებას ფარავდა წინადადება.

ბირჟის სასაქონლო განწყობილების მიმოხილვა.

ბამბა, თივის მთიბავი მანქანები, ყუბანის ფქვილი, ჩაი ადგილობრივი, მარსელის საპონი, სარდინკები, სპილენძი, ტყვია, რკინა, გოგირდის სიმჟავე, ჩაქვის ჩაი, ქვა მარილი, სოხუმის თამბაქო, ერბო, ლურსმნები, ფანჯრის მინები, ასანთი, ფქვილი თეთრი, თოკი, ცხვარის წყლები, სკიპიდარი, რკინის მავთული, ფარფორი, რუსეთის ფართლეულობა, შუშის მატყლი, სოდა.

ბირჟის მოთხოვნილება.

პურის პროდუქტები, ჩაი, ტყავები, გოგირდი, მზეს უმზირას ზეთი, ლურსმნები, რუსეთის ასანთი, ფართლეულობა, საპნის სუროგატები, ნედლი ძაგარი, ბამბა, ბრინჯი, მატყლი, სოხუმის და ლაგოდეხის ფოთლოვანი თამბაქო.

ოფიციალური [illegible]

(7 მაისი)

რუსეთის [illegible] მთავარ საგამგო კომიტეტის ფასებში (აპრილის ფასებიდან დამატებითი შეღავათი 5 პროც.).

სასაქონლო ბაზრის განწყობილება.

(7 მაისი)

ხორბალი და პურის პროდუქტები მტკიცეთაა, შაქარი სუსტათ. ნედლი მასალის ბაზარზე მატყლის მოთხოვნილებამ აიწია. სხვა ბაზრებზე უმოქმედობაა.

გრეხილი ავეჯის ქარხნის გაფართოება.

„საქართველოს ტყის" გრეხილ ავეჯის ნაწარმოებებზე მოთხოვნილების გადიდების გამო, ტრესტის გამგეობამ გადასწყვიტა გააფართოოს ქარხანა, რისთვისაც გამგეობა იძენს მოწყობილობას და დაზგების ახალ საგნების მთელ რიგს.

საზ. „ჩემო"-ს წევრთა საერთო კრება

(მეოთხე სხდომა).

კრებაზე ირჩევა ფოთში და ჭიათურაში მექანიკურად დატვირთვის მოწყობილობის საკითხი.

დირექტორი კ. თუმანოვი მოახსენებს კრებას არსებითად საკითხის შესახებ და აღნიშნავს, რომ ხარჯები მუშა ხელზე შავიქვის დასატვირთავად ნთქავს თვით ღირებულების დიდ ნაწილს. მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის პირობების გასაუმჯობესებლად საჭიროა ამ ხარჯების შემცირება წინად პროდუქტის გაიაფებას ფიქრობდენ ფოთის ელევატორის წესრიგში მოყვანის გზით, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ელევატორი არ შეეფერება ჩვენს პირობებს გაზიდვისათვის. „ჩემო"-მ გადასწყვიტა დამოუკიდებლად განახორციელებია დატვირთვის მექანიზაცია, რისთვისაც ჭიათურაში უკვე დაიდო ხელშეკრულება ინჟინერ კიზიმთან, რომლითაც ფუთის დატვირთვა დაჯდება 0,1 კაპეიკამდე. ამას გარდა სწარმოებს მოლაპარაკება უცხოეთის მსხვილ ფირმებთან უფრო პორტატიულ აპარატების შესაძენად, როდესაც ფუთის დატვირთვა დაჯდება მაქსიმუმი ერთი მეთორმეტედი კაპეიკი.

ივ. ვარაზაშვილის აზრით მუშა ხელის მექანიკური საშუალებით შეცვლა ჯერ ნაადრევია, ვინაიდან მუშა ხელის სიძვირეს ჩვენ არ განვიცდით. ფუთის დატვირთვის გამოანგარიშება 0,1 კაპეიკში არის თეორიული ვარაუდი, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ ხარჯებს ამ წარმოების მოწყობისა და ამორტიზაციისათვის 0,1 კაპეიკი შეიძლება შეიცვალოს:

ამისათვის უმჯობესია მივხედოთ ჭიათურის რაიონის გადაუდებელ მოთხოვნილებებს და პირველ ყოვლისა აღვადგინოთ წყალდიდობის გამო დანგრეული ხიდები, გზები და სხვ.

სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი კ. მოდებაძე აცხადებს, რომ დატვირთვის მექანიზაცია არის არა მარტო მუშა ხელის ეკონომიის საკითხი, არამედ უმთავრესად პროდუქტის გაიაფების, რითაც მხოლოდ შესაძლებელი იქნება კონკურენციის გაწევა. დატვირთვის მექანიზაციის განხორციელება უნდა მოვითხოვოთ კიდეც იმისათვის, რომ ფუთის დატვირთვისათვის ¼ კაპეიკი არ არის ურყევი ციფრი და უფრო მოსალოდნელია მისი გადიდება, ხელშეკრულება ინჟ. კიზიმთან არაფრით არ გვაბრკოლებს ჩვენ. გერმანიაში შავიქვის სუროგატის აღმოჩენას შეუძლია მოსპოს ჩვენი მადანის მოთხოვნილება. მთავრობა დაინტერესებულია შავი-ქვის გაზიდვის განვითარებაში, თუმცაღა ის დარწმუნებულია, რომ შავი-ქვის მრეწველობის მდგომარეობა 1914 წლიდან ხელს არ უწყობს ასეთი ზომების განხორციელებას. მიუხედავად ამისა საკითხი ისე მნიშვნელოვანი და გადაუდებელია, რომ ყოველივე ზომები უნდა ვიხმაროთ მექანიზაციის განხორციელებისათვის.

ა. ვიურბურგი აცხადებს, რომ წელს განზრახულია 400 000 ტონა შავი-ქვის გაზიდვა. ასეთ უმნიშვნელო გაზიდვის დროს, ომის წინა დროსთან შედარებით, ისეთი რთული პრობლემების გადაჭრა, როგორიც არის მისადგომის გზები და მექანიზაცია საკმაოდ დიდი რისკია.

კ. თუმანოვი ფიქრობს, რომ საკითხს უნდა მიუდგეთ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მექანიზაციის საჭიროების უარყოფა მუშა ხელის სიმრავლით ეწინააღმდეგება ეკონომიური პოლიტიკის ძირითად მოთხოვნილებებს, ვინაიდან მუშა ხელი მრავლად მოიპოვება, მაგრამ სამაგიეროდ მისი ღირებულება თანდათან იზრდება.

წყალდიდობის გამო დანგრეულ ხიდების და გზების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ პროდუქტის გაიაფების შემდეგ, ხოლო ამის განხორციელება შეიძლება დატვირთვის მექანიზაციით, მით უმეტეს, რომ ეს მექანიზაცია უეცრად იქონიებს გავლენას.

ი. ვარაზაშვილი ფიქრობს, რომ დაუყონებლივი მექანიზაცია ჭიათურაში არ არის გადაუდებელი საკითხი.

რაც შეეხება ფოთს, იქ არ შეიძლება წინანდელი მდგომარეობის დატოვება. უთანხმოება ფოთის შესახებ არ შეიძლება ჰქონდეთ ფირმებს. ვინც განახორციელებს მექანიზაციას, ის მიიღებს მისგან ყოველივე სარგებელს. ამისათვის საზოგადოება „ჩემო"-მ ხელი უნდა მიჰყოს ამ საქმეს და მოიპოვოს ხელსაყრელი პირობები ექსპლოატაციისათვის.

შემოდის საერთო კრების რეზოლუციის რამოდენიმე პროექტი. ზოგიერთ შესწორებების და დამატებების შემდეგ რეზოლუციას საფუძვლად ედება ფორმულა, რომელიც წარმოადგინა დირექტორმა ა. დარახველიძემ.

რეზოლუციის საბოლოო რედაქცია ასეთია.

„ფოთში და ჭიათურაში მექანიკური დატვირთვის მოწყობის აუცილებლობის გამო, დაევალოს საბჭოს მიიღოს სასწრაფო ზომები ჭიათურაში და ფოთში ასეთი აპარატის მოწყობისათვის და ამის განსახორციელებლად აუცილებელი ხარჯები დაფაროს იმ თანხიდან, რომელიც გაღებულია თვითღირებულებიდან დატვირთვის მოწყობილებისათვის, შემოსავლის მიხედვით".

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

ნაციონალური მომენტები პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში

რეზოლუცია ამხ. სტალინის მოხსენების გამო.

I

1) კაპიტალიზმის განვითარებამ ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში გამოამჟღავნა წარმოების საშუალებების და გაცვლა-გამოცვლის ინტერნაციონალიზაციის, ნაციონალური კარჩაკეტილობის მოსპობის, ერების სამეურნეო დაახლოების და ვეებერთელა ტერიტორიების ერთ მთლიან სხეულში თანდათანობით გაერთიანების ტენდენცია. კაპიტალიზმისა და მსოფლიო ბაზრის შემდეგმა განვითარებამ, დიდი საზღვაო და რკინის გზების მოწყობამ, კაპიტალის გატანამ და სხვამ უფრო გააძლიერა ეს ტენდენცია და სხვადასხვა ერები შრომის საერთაშორისო განაწილებით და ყოველმხრივ ურთიერთზე დამოკიდებულებით დააკავშირა. რამდენათაც ეს პროცესი გამოხატავდა საწარმოო ძალების კოლოსალურ განვითარებას, რამდენათაც ის ააღვილებდა ნაციონალური კარჩაკეტილობის და სხვადასხვა ერების ინტერესთა წინააღმდეგობის მოსპობას, ის იყო და რჩება პროგრესიულ პროცესათ, რადგან ის წარმოადგენს მატერიალურ წინასწარ პირობებს მომავალი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობისათვის.

2) მაგრამ ეს ტენდენცია ვითარდებოდა თავისებურ ფორმებში, რომლებიც სრულიად არ შეეფერებოდენ მის შინაგან ისტორიულ აზრს. ერების ურთიერთზე დამოკიდებულება და ტერიტორიების სამეურნეო გაერთიანება კაპიტალიზმის განვითარების მსვლელობაში ხდებოდა არა ერების, როგორც თანასწორუფლებიანი ერთეულების თანამშრომლობის გზით, არამედ ერთი ნაკლებ განვითარებული ერის მიერ დამორჩილების გზით. კოლონიალური ძარცვა-გლეჯა და დაპყრობა, კოლონიალური ჩაგვრა და უთანასწორობა, იმპერიალისტური თავგასულობა და ძალადობა, კოლონიალური მონობა და ნაციონალური უუფლებობა, და ბოლოს, ბრძოლა „ცივილიზაციურ" ერებს შორის „უცივილიზაციო" ერებზე ბატონობისათვის,—ასეთია ის ფორმები, რომლებშიც მიმდინარეობდა ერების სამეურნეო დაახლოების პროცესი. ამიტომ გაერთიანების ტენდენციასთან ერთად იზრდებოდა ამ გაერთიანების იძულებითი ფორმების მოსპობის ტენდენცია, ბრძოლა დაჩაგრული კოლონიების და დამოკიდებული ერების იმპერიალისტური ბატონობისაგან განსათავისუფლებლათ. რამდენათაც ეს მეორე ტენდენცია ნიშნავდა დაჩაგრული მასების აღშფოთებას გაერთიანების იმპერიალისტური ფორმების წინააღმდეგ, რამდენათაც ის მოითხოვდა ერების გაერთიანებას თანამშრომლობის და ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე, ის იყო და რჩება პროგრესიულ ტენდენციად, რადგან ის ამზადებს სულიერ წინასწარ პირობებს მომავალი სოციალისტური მეურნეობისათვის.

3) ამ ორი ძირითადი ტენდენციის ბრძოლა, რომელიც გამოიხატება კაპიტალიზმისათვის ჩვეულებრივ ფორმებში, უკანასკნელ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ავსებს მრავალ ერებიან ბურჟუაზიული სახელმწიფოების ისტორიას. შეურიგებელი წინააღმდეგობა ამ ორ ტენდენციას შორის კაპიტალისტური განვითარების ჩარჩოებში, საფუძვლად დაედო ბურჟუაზიულ კოლონიალური ქვეყნების შინაგან უმწეობას და ორგანიულ მერყეობას. აუცილებელი კონფლიქტები ასეთ სახელმწიფოებს შიგნით და აუცილებელი ომები ასეთ სახელმწიფოებს შორის; ძველი კოლონიალური ქვეყნების დაშლა და ახლების შექმნა; ახალი ბრძოლა კოლონიებისათვის და დაშლა მრავალ ერებიანი სახელმწიფოებისა, რომელსაც მოსდევს მსოფლიო პოლიტიკური რუქის ხელ ახლა გამოკვრა,—ასეთია ამ ძირითადი წინააღმდეგობის შედეგები. ძველი რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის და ოსმალეთის დაშლა, ერთ მხრით, ისეთი კოლონიალური სახელმწიფოების, როგორც არის დიდი ბრიტანეთის და ძველი გერმანია,—ისტორია,—მეორე მხრით, და ბოლოს „დიდი" იმპერიალისტური ომი და რევოლუციონური მოძრაობის ზრდა კოლონიალურ და არასრულუფლებიან ერებში,—ყველა ეს და ამგვარი ფაქტები ნათლად მოწმობენ მრავალერიან ბურჟუაზიული სახელმწიფოების მერყეობაზე და სისუსტეზე.

ამ რიგად შეურიგებელმა წინააღმდეგობამ ერების სამეურნეო გაერთიანების პროცესსა და ამ გაერთიანების იმპერიალისტურ მეთოდებ შორის ნათელყო ბურჟუაზიის უძლურება, უსუსურობა და უმწეობა ნაციონალური საკითხის გადაჭრისადმი სწორად მიდგომის საქმეში.

4) ჩვენი პარტია ანგარიშს უწევდა ამ პირობებს, როცა თავის პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში საფუძვლად დაუდვა თვითგამორკვევის უფლება და ერების უფლება დამოუკიდებელ სახელმწიფო არსებობაზე. ჯერ კიდევ თავისი არსებობის პირველ დღეებში თავის პირველ ყრილობაზე (1898 წ.), როცა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი ნაციონალური საკითხის ხაზით ჯერ კიდევ ასე აშკარათ გამორკვეული არ იყო, პარტიამ აღიარა ერებისათვის ეს განუყოფელი უფლება შემდეგში, ოქტომბრის გადატრიალებამდე ის მუდამ ადასტურებდა თავის ნაციონალურ პროგრამას სპეციალურ დადგენილებებში და რეზოლუციებში თავის ყრილობებზე და კონფერენციებზე. იმპერიალისტური ომი და მასთან დაკავშირებული ზრდა ძლიერი რევოლუციონური მოძრაობისა კოლონიებში ერთხელ კიდევ ადასტურებდა პარტიის დადგენილებებს ნაციონალურ საკითხის შესახებ.

ამ დადგენილებების აზრი მდგომარეობს: ა) ერებისათვის ყოველგვარი ძალადობის ფორმების გადაჭრით უარყოფაში; ბ) თავისი ბედის მოწყობის საქმეში ერების თანასწორობის და სუვერენობის ცნობაში; გ) იმ დებულების აღიარებაში, რომ ერების მტკიცე გაერთიანება შესაძლოა მხოლოდ თანამშრომლობის და ნებაყოფლობის საფუძველზე; დ) იმ ჭეშმარიტების აღიარებაში, რომ ასეთი გაერთიანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ბატონობის დამხობის შემდეგ.

ამ ნაციონალურ განმათავისუფლებელ პროგრამას ჩვენი პარტია მუშაობის დროს დაუღალავად უპირისპირდება როგორც ცარიზმის აშკარა დაპყრობითი პოლიტიკას, ისე მენშევიკებისა და ესერების დაუმთავრებელ, ნახევრათ-იმპერიალისტურ პოლიტიკას. თუ თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ შექმნა უფსკრული თვითმპყრობელობასა და ძველი რუსეთის ერებს შორის, მენშევიკებისა და ესერების ნახევრათ იმპერიალისტურმა პოლიტიკამ კი გამოიწვია ამ ერების საუკეთესო ელემენტების ჩამოშორება კერენშჩინისაგან, სამაგიეროდ ჩვენი პარტიის განმათავისუფლებელმა პოლიტიკამ მოუპოვა მას ამ ერების ფართო მასების თანაგრძნობა და დახმარება თვითმპყრობელობისა და რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეჭვს გარეშეა ის, რომ ეს თანაგრძნობა და დახმარება შეიქმნა ის გადამწყვეტი მომენტი, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი პარტიის გამარჯვება ოქტომბრის დღეებში.

5. ოქტომბრის რევოლუციამ პრაქტიკული ჯამი გაუკეთა ჩვენი პარტიის დადგენილებებს ნაციონალურ საკითხში. დაამხო რა მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, ნაციონალური ჩაგვრის ძირითადი გამტარებელი, და ჩააყენა რა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატი, ოქტომბრის რევოლუციამ ერთის დაკვრით დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ხუნდები, ყირამალა გადაატრიალა ერებს შორის ძველი ურთიერთობა, ძირი გამოუთხარა ძველს ნაციონალურ მტრობას, გზა გაუწმინდა ერების თანამშრომლობას და რუსეთის პროლეტარიატს, არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და აზიაშიც სხვა ეროვნების ძმების ნდობა მოუპოვა. არ ესაჭიროება მტკიცება იმას, რომ ამ ნდობის გარეშე რუსეთის პროლეტარიატი ვერ დაამარცხებდა ვერც კოლჩაკს, ვერც დენიკინს, ვერც იუდენიჩსა და ვრანგელს. მეორე მხრით, ეჭვს გარეშეა ისიც, რომ დაჩაგრული ერები ვერ მიაღწევდენ განთავისუფლებას, რომ რუსეთის ცენტრში პროლეტარიატის დიქტატურა არ დამყარებულიყო. ნაციონალური მტრობა, ნაციონალური ჯახი აუცილებელია, აუშორებელია, სანამ ბატონობს კაპიტალი, სანამ წვრილი ბურჟუაზია და პირველ ყოვლისა წინეთ „მპყრობელი" ერის გლეხობა, ნაციონალისტური ცრუ-მორწმუნეობით სავსე, მიჰყვება კაპიტალისტებს; და წინააღმდეგ, ნაციონალური ზავი და ნაციონალური თავისუფლება უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს, თუ გლეხობა და სხვა წვრილ-ბურჟუაზიული წრეები მიჰყვება პროლეტარიატს, ე. ი. უზრუნველყოფილია პროლეტარიატის დიქტატურა. ამიტომ საბჭოების გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება წარმოადგენს იმ ბაზას, იმ ფუნდამენტს, რომლის საფუძველზე შეიძლება ერების ძმური თანამშრომლობის აგება ერთიან სახელმწიფო კავშირში.

6) მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შედეგები არ ამოიწურება ნაციონალური ჩაგვრის მოსპობით და ერების გაერთიანებისათვის ნიადაგის შექმნით. თავისი განვითარების მსვლელობაში ოქტომბრის რევოლუციამ გამოიმუშავა აგრეთვე ამ გაერთიანების ფორმები, ასახა ძირითადი ხაზები, რომელზედაც უნდა აიგოს ერების გაერთიანება ერთიან საკავშირო სახელმწიფოში. რევოლუციის პირველ პერიოდში, როცა ერების მშრომელმა მასებმა პირველად იგრძნეს თავისი თავი დამოუკიდებელ ნაციონალურ ერთეულებათ, იმ დროს, როცა უცხოეთის ინტერვენციის შესაძლებლობა არ წარმოადგენდა რეალურ საშიშროებას,—ერების თანამშრომლობას არ ჰქონდა კიდევ სავსებით გამორკვეული, მტკიცედ ჩამოყალიბებული ფორმები. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში, როცა ნაციონალური რესპუბლიკების სამხედრო თავდაცვის ინტერესებმა პირველი ადგილი დაიჭირა, იმ დროს, როცა სამეურნეო მშენებლობის საკითხები ჯერ კიდევ არ იდგა რიგში,—თანამშრომლობამ მიიღო სამხედრო კავშირის ფორმა. დაბოლოს, ომის შემდეგ პერიოდში, როცა ომის მიერ დანგრეულ საწარმოო ძალების აღდგენის საკითხები პირველ რიგში დაისვა, სამხედრო კავშირს დაემატა სამეურნეო კავშირი. ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა რესპუბლიკების საერთო კავშირში გაერთიანება-თანამშრომლობის ფორმების განვითარების საბოლოო ეტაპია, რომელმაც ამ შემთხვევაში მიიღო ერების ერთიან მრავალერებიან საბჭოთა რესპუბლიკაში სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკური გაერთიანების ხასიათი.

ამ რიგად პროლეტარიატმა საბჭოთა წყობილებაში ჰპოვა გასაღები ნაციონალური საკითხის სწორად გადასაჭრელად, მან იპოვა მასში გზა მტკიცე მრავალერიანი სახელმწიფოს მოსაწყობად ნაციონალური თანასწორობის და ნებაყოფლობის საფუძველზე.

7) მაგრამ მარტო გასაღების პოვნა ნაციონალური საკითხის სწორად გადასაჭრელად კიდევ არ ნიშნავს მის გადაჭრას სავსებით და საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილების ამოწურვას მის კონკრეტიულ-პრაქტიკულ განხორციელებაში ოქტომბრის რევოლუციის მიერ წამოყენებულ ნაციონალური პროგრამის ცხოვრებაში სწორად გასატარებლად, საჭიროა იმ დაბრკოლებების დაძლევა, რომელიც მემკვიდრეობათ დაგვიტოვა ჩვენ განვლილმა ნაციონალური ჩაგვრის პერიოდმა და რომელთა დაძლევა შეუძლებელია მოკლე ხანში ერთის დაკვრით.

ეს მემკვიდრეობა პირველყოვლისა მდგომარეობს დიდმპყრობელური შოვინიზმის ნაშთებში, რომელიც გამოკრთობაა ველიკორუსების ყოფილი პრივილეგიური მდგომარეობის. ეს ნაშთები ცოცხალია კიდევ საბჭოთა მუშაკების—ცენტრალურის და ადგილობრივის,—თავში, ისინი ბუდობენ ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში: ცენტრალურში და ადგილობრივებში. ისინი დამხმარე ძალებს იღებენ „ახალ" სმენავეხოველურ ველიკორუსულ შოვინისტურ იდეოლოგიის სახით. რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში უფრო და უფრო ძლიერდება. პრაქტიკულად ის გამოიხატება რუს მოხელეების მედიდურ-უყურადღებო და უსულო ბიუროკრატიულ დამოკიდებულებაში ნაციონალურ რესპუბლიკების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი. მრავალერებიანი საბჭოთა სახელმწიფო შეიქმნება ნამდვილად მტკიცე, ერების თანამშრომლობა კი მასში ნამდვილად ძმური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაშთები მტკიცედ და საბოლოოდ იქნება ამოფხვრილი ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებების პრაქტიკიდან.

მდგომარეობა ნაციონალური რესპუბლიკების მთელ რიგში (უკრაინა, ბელორუსია, აზერბეიჯანი, თურქესტანი) რთულდება იმით, რომ მუშათა კლასის დიდი ნაწილი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენობია, ეკუთვნის ველიკორუსულ ეროვნებას. ამ რაიონებში კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის, მუშათა კლასსა და გლეხობა შორის, დიდ დაბრკოლებას ხვდება ველიკორუსული შოვინიზმის ნაშთებში როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოებში. ასეთ პირობებში ლაპარაკი რუსეთის კულტურის უპირატესობაზე და წამოყენება დებულებისა უფრო მაღალი რუსული კულტურის ჩამორჩენილი ერების კულტურაზე (უკრაინის, აზერბეიჯანის, უზბეკურ, ყირგიზულ და სხვა) აუცილებლად გამარჯვების შესახებ, წარმოადგენს ველიკორუსული ეროვნების ბატონობის გამაგრების ცდას, სხვა არაფერი. ამიტომ, გადამწყვეტი ბრძოლა ველიკორუსული შოვინიზმის ნაშთებთან წარმოადგენს ჩვენი პარტიის პირველ მორიგ ამოცანას.

ეს მემკვიდრეობა, პირველ ყოვლისა, მდგომარეობს რესპუბლიკების კავშირის ერების ფაქტიურ, ე. ი. სამეურნეო და კულტურულ უთანასწორობაში. ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებული უფლებრივი ნაციონალური თანასწორობა წარმოადგენს ერების უდიდეს მონაპოვარს, მაგრამ არ სჭრის თავისთავად მთელ ნაციონალურ საკითხს. ერებისა და რესპუბლიკების მთელ რიგს, რომლებსაც არ გაუვლიათ ან თითქმის არ გაუვლიათ კაპიტალიზმში, რომელთაც არ ყავთ ან თითქმის არ ყავთ საკუთარი პროლეტარიატი, და, ამის გამო ჩამორჩნენ კულტურულად და სამეურნეო მხრივ, არ ძალუძთ სავსებით გამოიყენონ ნაციონალური თანასწორობით მათთვის მინიჭებული უფლებები და შესაძლებლობანი, არ ძალუძთ ავიდენ განვითარების უმაღლეს საფეხურზე და დაეწიონ, ამ რიგად, წინწასულ ერებს გარედან ნამდვილი და ხანგრძლივი დახმარების გარეშე. ამ ფაქტიური უთანასწორობის მიზეზები იმალებიან არა მარტო ამ ერების ისტორიაში, არამედ თვითმპყრობელობის და რუსეთის ბურჟუაზიის პოლი-

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

(1923 წ. 23 აპრილს)

№ 11

შენობების შესანახ ხარჯებსა და შემოსავალს შორის თანაბრობის მიღწევის მიზნით, და აგრეთვე საბინაო ქირის შესახებ თბილისის საბჭოს ახლა მოქმედი დადგენილებების ერთიან სისტემაში მოსაყვანად თბილისის საბჭომ დაადგინა:

1) თბილისის საბჭოს ახლა მოქმედი დადგენილება № 8 1922 წლის 29 ივლისის თარილით საბინაო ქირის გადახდევინების შესახებ ყველა იმ დამატებითი დადგენილებებით, რომლებიც ამ დადგენილებამდი გამოქვეყნდა, გაუქმებული იქნეს.

2) 1923 წლის პირველი მაისიდან თბილისისა და მისი რაიონების ტერიტორიაზე შემოღებული იქნეს ქვემოთ მოყვანილი „დებულება საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ქირის შესახებ“.

საბჭოს თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**
მდივანი **თიკანაძე.**

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲑᲘᲜᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲘᲯᲐᲠᲝ ᲥᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

§ 1. საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ფასების გამოსარკვევად ქ. თბილისი და მისი რაიონები იყოფა ორ ნაწილად: ცენტრი და განაპირა რაიონები.

შენიშვნა: ქალაქის ნაწილების საზღვრები აღნიშნულია ამ დადგენილებასთან დართულ „დამატებაში.

§ 2. საიჯარო ქირის გადახდის მხრივ გადამხდელები იყოფიან 22 კატეგორიად:

1-ლი კატეგორია.

ა) ყველა დაწესებულებების და წარმოების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ ჯამაგირათ საქონლის 5 მანეთს.

ა) უმუშევრები, რომლებმაც წარმოადგინეს შრომის ბირჟიდან სათანადო მოწმობა, რომელიც ყოველ თვეში განახლებული უნდა იქნეს.

ბ) მოწაფეები, სასწავლო დაწესებულებებიდან სათანადო მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, თუ ისინი არ ცხოვრობენ მშობლებთან და არა აქვთ დამოუკიდებელი შრომის ხელფასი.

გ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი ომისა და შრომის ინვალიდები.

დ) წითელ არმიელთა ოჯახების უმუშევარი წევრები.

2-ე კატეგორია.

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 5 მანეთს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის ათი მანეთისა.

3-ე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის ათ მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 15 მანეთისა.

4-ე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საკონლის 15 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს 20 საქონლის მანეთისა.

5-თე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 20 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 25 მანეთისა.

6-ხე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 25 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 30 მანეთისა.

7-დე კატეგორია.

ა) მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 30 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 35 მანეთისა.

ბ) შინა მრეწველები, გაერთიანებულნი კავშირში „დამოუკიდებელი შრომა“.

8-ე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 35 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 40 მანეთისა).

9-რე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 40 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 45 მანეთისა.

10-თე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 45 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 50 მანეთისა.

11-ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 50 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 55 მანეთისა.

12-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 55 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 60 მანეთისა.

13-ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც იღებენ თვეში 60 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 65 მანეთისა.

14-ე კატეგორია.

ა) ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 65 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 70 მანეთისა

ბ) თავისუფალი პროფესიის პირები (თავისუფალ პრაქტიკიანი ექიმები ინჟინერები, ლიტერატორები).

15-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 70 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 75 მანეთისა.

16-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 75 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 80 საქონლის მანეთისა.

17-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 80 მეტს მაგრამ არა უმეტეს საქონლის 85 მანეთისა.

18-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 85 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 90 საქონლის მანეთისა.

19-ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც იღებენ თვეში 90 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 95 საქონლის მანეთისა.

20-ე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 95-ზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 100 მანეთისა.

21-თე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 100 საქონლის მანეთზე მეტს.

22-რე კატეგორია.

დანარჩენი მოქალაქენი.

§ 3. არა შრომის შემოსავალის არსებობის დროს (ვაჭრობა, კომისიონერობა და სხვა) პირველი 21 კატეგორიის პირებისათვის და აგრეთვე აღნიშნულ პირების ოჯახების წევრებისათვის, მთელი ოჯახი უნდა ჩაირიცხოს მეოცდაორე კატეგორიაში.

§ 4. საიჯარო ქირის რაოდენობა წესდება სასარგებლო საცხოვრებელი ფართობის კვადრატიულ არშინზე შენობების ადგილმდებარეობის და კატეგორიების მიხედვით შემდეგის განაკვეთით:

	ქალაქის ცენტრ. ნაწილ.	განაპირა რაიონებისათვის
1-ლი კატ. პირებ.	0,3	0,2
2-რე „ „	0,4	0,20
3-მე „ „	0,5	0,25
4-ხე „ „	0,75	0,4
5-თე „ „	1,3	0,7
6-სე „ „	1,55	0,8
7-დე „ „	1,8	0,9
8 ვე „ „	2 კ.	1 კ.
9 რე „ „	2,75 კ.	1,35 კ
10 ე „ „	3 კ	1,5 კ.
11-ე „ „	3,4	1,7
12-ე „ „	3,8	1.9
13-ე „ „	5,3	2,65
14-ე „ „	6 კ.	3 კ.
15-ე „ „	7 კ.	3,5
16-ე „ „	8 კ.	4 კ.
17-ე „ „	9 კ.	4,5
18-ე „ „	10 კ.	5 კ.
19-ე „ „	11 კ.	5 5
20-ე „ „	12 კ.	6 კ.
21-ე „ „	15 კ.	8 კ.
22 ე „ „	„	„
დანარჩენ მოქალაქეებისათვის შეთანხმების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს	100 კ.	50 კ.

შენიშვნა 1: საიჯარო ქირა მუშა-მოსამსახურეებისათვის წესდება ძირითად, მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

შენიშვნა 2: სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულების და წარმოებისათვის ქირა წესდება არა უმეტეს 10 კაპიკისა სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის კვადრატიულ არშინზე; სამეურნეო ორგანოებისა, კერძო დაწესებულების, წარმოებების და ორგანიზაციებისათვის, შეთანხმების მიხედვით.

§ 5. ძირითად საბინაო ქირას ემატება, თუ არის:

ა) მომქმედი ვანა — 1 პროც.
ბ) სადარბაზო შესავალი 1 „
გ) შუშაბანდებიანი გალერეა — — — 1 „
დ) სამზარეულო — — 1 „

შენიშვნა: გასავლელ ოთახებზე, რომლებიც მხოლოდ აერთებენ ერთ ნაწილს მეორესთან, საიჯარო ქირა წესდება როგორც შუშაბანდიან გალერეებზე.

§ 6. სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის ნორმათ დაწესებულია 25 კვ. არშინი სულზე.

შენიშვნა: ნორმას ზევით ერთი კაბინეტის (30 კვ. არშ.) დაჭერის უფლებით სარგებლობენ პასუხისმგებელი მუშაკები, პროფესორები, პრაქტიკის მქონე ექიმები, და აგრეთვე საბჭოთა სამსახურში მყოფი ინჟინერები,

§ 7. დაწესებულებებისათვის საცხოვრებელი სივრცის ნორმა არის 9 კვ. არშინი ამ დაწესებულების თითეულ მუშაკზე (დაწესებულების მტკიცე შტატის მიხედვით), ამ ნორმის ზევით დაწესებულების ხელმძღვანელისათვის და ძირითად განყოფილების გამგეების კაბინეტებისათვის დაშვებულია დაჭერა საცხოვრებელი სივრცისა არა უმეტეს 30 კვ. არშინისა თითეულ კაბინეტზე.

§ 8. სარდაფებზე, ნახევრათ სარდაფებზე, ბნელ შენობებზე და აგრეთვე ერთსართულიან სახლებზე, სადაც არ არის წყალსადენი, საიჯარო ქირა მცირდება 50 პროცენტით.

§ 9. პირველი 21 კატეგორიის პირებს საიჯარო გადასახადი შეაქვთ თითეული თვის დამლევს იმ კურსით, რომლის მიხედვითაც ისინი ჯამაგირს იღებენ.

§ 10. მეოცდაორე კატეგორიის პირებს საიჯარო ქირა შეაქვთ წინდაწინ არა უგვიანეს თითეული თვის 10 რიცხვისა, ამიერ კავკასიის ბონებით გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით.

§ 11. პირველი 21 კატეგორიის პირებმა ქირის შეტანის დროს უნდა წარმოადგინონ სამსახურის ადგილიდან მოწმობა ჯამაგირის რაოდენობის შესახებ, რომელიც თითეულ სამ თვეში განახლებული უნდა იქნეს. წარმოებების და დაწესებულებების ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ჯამაგირის რაოდენობის შესახებ მიცემულ მოწმობების სისწორეში.

§ 12. 22-რე კატეგორიის პირებს, სამეურნეო ორგანოებს, და აგრეთვე კერძო პირებსა და ორგანიზაციებს საიჯარო ქირას დანიშნულ ვადაზე (§ 10) არ შეტანის შემთხვევაში გადახდება ჯარიმა გადაუხდელი ჯამიდან 2 პროც. ანგარიშით დღეში.

§ 13. საიჯარო ქირის შემდეგი თვის პირველი რიცხვისათვის არ გადახდის შემთხვევაში, არა კეთილსინდისიერი გადამხდელები, გაძევებული იქნებიან სასამართლოს წესით.

შენიშვნა: გაძევებიდან განთავისუფლებული არიან პირველი 21 კატეგორიის გადამხდელები, თუ საიჯარო ქირის დროზე არ გადახდა მოხდა დაწესებულების ან წარმოების მიზეზით, ჯამაგირის თავის დროზე არ მიცემის გამო იმ თვეში, რომლის საიჯარო ქირა შესატანი იყო, ჯამაგირის მიღებისთანავე პირველი 21 კატეგორიის გადამხდელები მოვალე არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ საშინაო ქირა.

§ 14. სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის მონარჩომზე (დაწესებულ ნორმას ზევით) წესდება განსაკუთრებული გადასახადი: პირველი 21-თი კატეგორიის პირებისათვის, რომლებიც სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფებიან, ნორმალური ქირის 100 პრ. მონარჩომ სივრცეზე, 22 რე კატეგორიის პირებისათვის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ და აგრეთვე კერძო და საზოგადოებრივი წარმოებებისა და დაწესებულებებისათვის 200 პრ., რომლებსაც კრეფენ სახლის პატრონები, სახლების კომენდანტები ან დაწესებულებების და წარმოების მეთაურები და აგრეთვე სახლის პატრონის მაგიერი პირები და შეაქვთ ყოველთვიურად ალმასკომის სალაროში სპეციალურ ფონდში კომუნალური სახლების აღდგენათ §§ 9 და 10 აღნიშნულ ვადებში.

შენიშვნა: იმ საცხოვრებელი სივრცის მონარჩომი, რომელიც მხოლოდ საცხოვრებლად არის დაჭერილი, საერთო ნორმიდან 30 პროცენტი ანგარიშით განთავისუფლებულია გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი სივრცე აღემატება დაწესებულ ნორმას წმინდა ტეხნიკურ მიზეზების გამო, შენობების ტიპის მიხედვით.

§ 15. ყველა კონფლიქტები საიჯარო ქირის გამო უნდა გაირჩეს სახალხო სასამართლოებში

§ 16. ამ „დებულებას“ სავალდებულო ძალა აქვს ყველა შენობებისათვის.

§ 17. ეს „დებულება“ არ ვრცელდება სასტუმროებში მცხოვრებ პირებზე.

საბჭოს თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**
მდივანი **თიკანაძე.**

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲯᲐᲠᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ

(შეცდომის გასწორება).

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, „წითელი ჯარის“ განყოფილებაში მოთავსებული რეზოლიუცია ეკუთვნის არა პარტიულ ოფიცრებს, როგორც ეს კორექტურული შეცდომით გავიდა, არამედ ქართველ უპარტიო ოფიცრებს.

ბრძანება.

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტიკური განყოფილებისა.
ქ. ტფილისი, 4 მაისი 1923 წ.
№ 55.

ქართულ დივიზიის ნაწილების შევსება 1901 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის ჯარში გაწვევით უკვე დასრულდა.

სახელოვან ჯარის რიგები კვლავ შეივსო და ჩვენს წითელ ყაზარმებში, უკვე სწავლება დამთავრებული, კომუნისტურად აღზრდილი ძველი ჯარის კაცები უვადო შვებულებაში წავიდნენ, რომელთა ადგილი უფრო ახალგაზრდობამ დაიჭირა.

ჯერ საქართველოს არ ახსოვს ის აღფრთოვანება და ერთსულოვნება, როგორიც იყო ამ ჟამად ჯარში ახალგაზრდობის გაწვევის დროს. სოფლისა და ქალაქის მუშები, შრომისა და ჯაფის ეს ღვიძლი შვილები, წითელი დროშებით, სიმღერით აღმრიცხველ და მიმღებ პუნქტებში მისვლას ერთი მეორეს ასწრებდნენ და წითელ ყაზარმებისაკენ მიეშურებოდნენ. საქართველოში ახალგაზრდობის ჯარში გაწვევამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რა ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება და მისი დამცველი წითელი ჯარი სოფლისა და ქალაქის მუშებისათვის.

დღეიდან ქართულ დივიზიის ცხოვრებაში იწყება მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი ნორჩი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ქართულ დივიზიაში სამხედრო და პოლიტიკური მუშაობა დღეს უნდა გაასკეცდეს და სულ მოკლე ხნის ვადაში თავიანთ ოჯახებს უნდა დაუბრუნონ უკვე შეგნებული, წერა კითხვის მცოდნე, პოლიტიკურად სალათ მოაზროვნე და სამხედრო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა.

ამისათვის უბრძანებ დივიზიის ნაწილების სამხედრო კომისრებს, პოლიტ ხელმძღვანელებს და კოლექტივის მდივნებს გააძლიერონ ერთი ორად პოლიტიკური მუშაობა ნაწილებში.

ამ თავიდანვე აღკვეთონ დეზერტირობა. იმ ნაწილებში, რომელშიც ადგილი ექნება ამ მოვლენას ან დაუდევრობას უფროს შემადგენლობისა თუ პოლიტ-შემადგენლობისას, დამნაშავენი სასწრაფოთ მიეცეს პასუხისგებაში.

იქნეს დღეს დამკვრელ სამუშაოთ აღიარებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

სასწრაფოთ შეისწავლონ ჯარის კაცებმა ინტერნაციონალის გალობა და ყველა საჭირო სადღეისო პოლიტიკური კითხვები. გაიბას კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი პოლიტ-ხელმძღვანელების პოლიტიკურ განყოფილებასთან.

სარდლობისა და პოლიტ ხელმძღვანელების ერთსულოვანი მუშაობით განვითარდეს დივიზიაში როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნა. თავის დროზე მოხსენდეს პოლიტ-განყოფილებას ყოველივე უბრალო შემთხვევაც კი მის მიერ შესაფერი ზომების მისაღებად.

ბრძანება ესე წაკითხულ იქმნას ყველა ასეულებში, ესკადრონებში, ბატარეიებში და ყველა მცირე გუნდებში.

პოლიტ-განყოფილების უფროსი და დივიზიის სამხედრო კომისარი: **თენგიზ ჟღენტი.**

ქართულ წითელ ჯარში ახალგაზრდათა გაწვევის შესახებ

ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

სამობილიზაციო პუნქტში გამოცხადდა 780 ახლად გაწვეული, მიღებულია 277, გამოგზავნილია—154.

ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ

ბორჩალოს მაზრაში გაწვევა დამთავრებულია. აკლია მხოლოდ 17.

ᲥᲕᲔᲛᲝ-ᲝᲡᲔᲗᲘ

სამობილიზაციო პუნქტში გამოცხადდა სულ 449, მიღებულია 204, განთავისუფლებულია 245, გამოგზავნილია 190.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

გაწვევა სწარმოებს ბრწყინვალეთ. გამოცხადდა —187, მიღებულია 105, დაგზავნილია—107, უნდა გამოცხადდნენ—219.

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

სამობილიზაციო პუნქტში ცხადდებიან დიდი ენტუზიაზმით. სულ გამოცხადდა 572, მიღებულია 234. მაზრაში გაწვევა დამთავრებულათ ითვლება.

ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

მაზრაში არა ჩვეულებრივი ინტერესია ჯარში ჩაწერისა. მრავალია მსურველი—მოხალისე, მაგრამ არ იღებენ. თვით მობილიზაცია დამთავრებულია. სულ გამოცხადდა 1105, მიღებულია 519, გაგზავნილია 439, დანარჩენი განთავისუფლებულია.

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

მაზრაში მრავალი მოხალისე ცხადდება, მაგრამ არ იღებენ, ვინაიდგან ჯარის ნაწილები შევსებულია ახლად გაწვეულებით. გამოცხადდა 1105, მიღებულია 519, გაგზავნილია ნაწილებში 439.

ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ.

იარაღის ხმარების მცოდნე გამოცხადდა 92, მიღებულია 63, გაგზავნილია ჯარის ნაწილებში 44, იარაღის ხმარების არა მცოდნე გამოცხადდა 17.

ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

გამოცხადდა 25. საერთოდ გაწვევა მიმდინარეობს კარგათ.

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

გამოსაცხადებელია 252, გამოცხადდა 99, მიღებულია 54, დროებითი შვებულება მისცეს 31, განთავისუფლებულია 14. მაზრაში მეტი წილი გამოცხადებულია.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

ქუთაისის მაზრაში გაწვევა კარგად მიმდინარეობს, გასაწვევია 750, სამი დღის განმავლობაში მიღებულია 219, დამატებითი 266.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

მაზრაში გაწვევა დიდი ენტუზიაზმით სწარმოებს.

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

სამობილიზაციო პუნქტში მრავალი მოხალისე გამოცხადდა. დეზერტირების შემთხვევა სულ არ არის.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲨᲘ.

ქართულ დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალის მიერ იქნება გარჩეული საჯარო სხდომაზე ამავე ტრიბუნალის დარბაზში შემდეგი საქმეები:

ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲛᲝᲞᲐᲠᲕᲐ.

საქმე სამოსწავლო ათასეულის წითელ-არმიელ ნოე კაციტაძის, რომელსაც ბრალი ედება გუშაგობის დროს დინამიტის მოპარვა, რაიც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კან. 187 მუხ. პუნქტი „ვ“ და 214 მუხ. მეოთხე ნაწ.

ᲓᲔᲖᲔᲠᲢᲘᲠᲝᲑᲐ.

საქმე მცველ—მხლებელთა ათასეულის წითელ-არმიელის გიორგი ნადირაძისა, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში.

ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲐᲠᲕᲐ.

გაირჩევა საქმე [illegible] სამოსწავლო ათასეულის წით. არმ. [illegible] ქიმერიძ სა, რომელსაც ბრალი ედება სახაზინო ნივთების მოპარვაში და სატუსაღოდან გაქცევაში.

ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲮᲕᲐ.

იგივე ნაწილის წით. არმ. მიქაბერიძე მიცემულია პასუხის გებაში პატიმრის გალახვის გამო.

ᲡᲘᲛᲘᲣᲚᲘᲐᲪᲘᲐ

საქმე ქართ. ცხენ. ლეგიონის წით. არმ. გრ. აქაფაშვილის, რომელსაც ბრალი ედება მოქმედებით შეურაცყოფის მიყენებაში და ავადმყოფობის მოგონებით სამსახურის გაცდენაში.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ

ᲤᲝᲡᲢᲐ-ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კომიტეტის პლენუმმა დამაკმაყოფილებლად სცნა კომისარიატის მუშაობა.

ფონდის უზრუნველყოფა.

პლენუმმა საჭიროდ იცნო მთელ ამიერ კავკასიაში ურთიერთ დახმარე კასების ორგანიზაცია და მის ფონდების უზრუნველყოფად დაადგინა: სესხი და ბრუნება უნდა ხდებოდეს სესხის შეტანით თვეში სამუშაო ქირის არსებულ ინდექსის მიხედვით.

უმუშევართა სექცია.

პლენუმმა საჭიროდ იცნო კავშირთან უმუშევართა ცალკე სექციის დაარსება მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა-მიღების მოსაწესრიგებლად.

რეალური ხელფასი.

სატარიფო ეკონომიურ საკითხებში პლენუმმა დაადგინა მიმართოს შუამდგომლობით რ. პ. კ. საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს, რათა შენახულ იქნას მიმდინარე წლის იანვრის რეალური ხელფასი.

კულტმუშაობა.

პლენუმმა დაადგინა გააცხოველოს კულტმუშაობა და წინადადება მისცეს საოლქო კომიტეტს კულტფონდიდან თანხები მხოლოდ კულტმუშაობისათვის იხარჯებოდეს და აგრეთვე დაუყონებლივ მოაწყოს პოლიტწრეები და სამკითხველოები.

ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

5 მაისს, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შედგა ქ. ტფილისის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრნენ: მუშათა კორესპონდენტები, პერიოდულ გამოცემების რედაქტორები, რედაქციების თანამშრომლები, საფაბრიკო-საქარხნო-კომიტეტების წარმომადგენელნი.

სხდომა გახსნა პროფკავშირთა საბჭოს მდივანმა ამხ. ყურულაშვილმა, რომელმაც აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მუშათა კლასის ბრძოლაში პრესას.

მაგალითად, პეტროგრადის „პრავდამ“ პოლიტიკური აღზრდა და გაწვრთნა მისცა იმ მოწინავე მუშებს და მუშაკთ, რომელნიც დღეს საბჭოთა აღმშენებლობის სათავეში დგანან და მსოფლიო რევოლიუციის მესაჭეთ ითვლებიან. საბჭოთა რესპუბლიკებში გაზეთის საქმე მკვიდრ ნიადაგზე არის დაყენებული. მას დიდი წარმატება ეტყობა როგორც ღირსების, ისე ტირაჟის გადიდებით, მაგრამ მუშათა პრესამ რუსეთში და საქართველოში თავის განვითარების გზაზე, ვიდრე დღევანდელ თავისუფალ მდგომარეობამდე მოაღწევდა, საშინელი დევნა და რეპრესიები განიცადა თვითმპყრობელობისაგან. ათეულად და ასეულად ატუსაღებდენ რედაქტორებს, თანამშრომლებს, აგზავნიდენ ციხეებში, კატორღაში. მიუხედავად ამისა პრესის მუშაობა ოდნავადაც არ შეჩერებულა. ერთ გაზეთს მეორე ცვლიდა. დატუსაღებულ რედაქტორის ადგილს მეორე იჭერდა. დღეს,—ამბობს ამხ. ყურულაშვილი,—ბეჭდვითი საქმის მუშაკთა დღეა, დიდი ზეიმის დღე, პრესის მუშაკთა ძალების გაერთიანების, განმტკიცების. უსურვოთ მათ მტკიცე ენერგია და ძლიერი ნებისყოფა თავიანთ მძიმე მოვალეობის ასასრულებლად.

გაუმარჯოს მუშათა პრესის დღეს, გაუმარჯოს მის ბრძოლას.

ფეხზე ადგომით პატივსა სცემენ რეაქციასთან ბრძოლაში დაღუპულ პრესის მუშაკთა ხსოვნას.

შემდეგ ხდება სხდომის პრეზიდიუმის არჩევნები და დღის წესრიგის დამტკიცება. პრეზიდიუმში არჩეულნი იქნენ: ამხ. ნ. კაკნაძე, პ. საყვარელიძე, მალაშხია, ბატარაგისი, ვასილიევი, ვირაპი. საპატიო თავმჯდომარედ—გაზეთ „პრავდას“ დამაარსებელნი—ამხ. ლენინი, ტროცკი, ბუხარინი, ზინოვიევი, დემიან ბედნი, ვარდინი, ცხაკაია, მახარაძე, ორახელაშვილი.

მუშათა პრესის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვირაპი. მის დაწვრილებით მოხსენების შინაარსი შემოკლებით შემდეგია:

მომხსენებელი დაწვრილებით ეხება მუშათა პრესის მდგომარეობას 1912—1913 წლებში, ომის განმავლობაში, და რუსეთის დიდ რევოლიუციის ხანაში. აღნიშნავს მის მოქმედების ეტაპებს, მის მიზნებს და ამოცანებს განსაზღვრულ პერიოდებში.

„დღეს კი,—ამბობს მომხსენებელი,—თანახმად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მუშათა პრესა რუსეთში მტკიცე და კარგ პირობებშია ჩაყენებული. მას ეკუთვნის საუკეთესო სტამბები. კარგად არის დაყენებული პრესის გავრცელების საქმე. მას უმძიმესი მოვალეობა აქვს დაკისრებული: მოიპოვოს კულტურული ჰეგემონია, და ჩვენც ვხედავთ, რომ იგი ზედმიწევნით ასრულებს თავის ამოცანებს“.

ამხ. ვირაპის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია. ამის შემდეგ სიტყვები ეძლევა ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის წარმომადგენელს ამხ. კურსკის და პრესის ძველს მუშაკს ნ. ცერცვაძეს.

მეორე განყოფილებაში გაიმართა კონცერტი.

ტიკაში, რომლებიც ცდილობდენ გადაექციათ განაპირა რაიონები მხოლოდ და მხოლოდ ნედლი მასალის მიმწოდებულ რაიონებად, რომელთაც ყვლეფს მრეწველობა განვითარებული ცენტრალური რაიონები. ამ უთანასწორობის მოკლე ხანში დაძლევა, ამ მემკვიდრეობის ორი-სამი წლის განმავლობაში ლიკვიდაცია შეუძლებელია. ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის მეათე ყრილობამ აღნიშნა, რომ „ფაქტიური ნაციონალური უთანასწორობის მოსპობა არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს მტკიცე და შეურიგებელ ბრძოლას ნაციონალური ჩაგვრის და კოლონიალური მონობის ყველა ნაშთებთან“. მაგრამ მისი დაძლევა საჭიროა აუცილებლად. და მისი დაძლევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის ნამდვილი და ხანგრძლივი დახმარებით კავშირის ჩამორჩენილი ერებისათვის მათი სამეურნეო და კულტურული წინსვლის საქმეში.

ეს დახმარება პირველ ყოვლისა უნდა გამოიხატოს მთელ რიგ პრაქტიკულ ზომების მიღებაში წინათ დაჩაგრული ერების რესპუბლიკებში მრეწველობის კერის შესაქმნელათ ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურად ჩაბმით. და ბოლოს, ეს დახმარება, თანახმად მეათე ყრილობის რეზოლიუციისა, უნდა სწარმოებდეს პარალელურად მშრომელი მასების ბრძოლასთან ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გაძლიერებულ ადგილობრივ და მოსულ ექსპლოატატორი მაღალი წრეების წინააღმდეგ, თავისი სოციალური პოზიციების გასამაგრებლად. რამდენათაც ეს რესპუბლიკები წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო რაიონებს, შინაური სოციალური ღონისძიებანი, პირველ ყოვლისა, უნდა მიმდინარეობდენ მშრომელი მასების მიწით უზრუნველყოფის გზით თავისუფალი სახელმწიფო ფონდის ხარჯზე.

ამის გარეშე არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს ერების სწორ და მტკიცე თანამშრომლობის დამყარებისა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში. ამიტომ ბრძოლა ერების ფაქტიური უთანასწორობის სალიკვიდაციოდ, ბრძოლა ჩამორჩენილი ერების კულტურული და სამეურნეო დონის ასამაღლებლად, წარმოადგენს ჩვენი პარტიის მეორე მორიგ ამოცანას.

ეს მემკვიდრეობა, და ბოლოს, მდგომარეობს ნაციონალიზმის ნაშთებში მთელ რიგ ერებს შორის, რომლებმაც ატარეს ნაციონალური ჩაგვრის მძიმე უღელი და ჯერაც ვერ განთავისუფლებულან ძველი ნაციონალური შეურაცყოფის გრძნობისაგან. ამ ნაშთების პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს ერთგვარი ნაციონალური განშორება და სრული ნდობის უქონლობა რუსებისაგან გამომდინარე ღონისძიებისადმი წინეთ დაჩაგრულ ერების მხრივ. მაგრამ, ზოგიერთ რესპუბლიკებში, რომლებსაც თავის შემადგენლობაში ყავთ რამდენიმე ეროვნება, ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი ხშირად იქცევა შეტევითი ნაციონალიზმათ, უფრო ძლიერი ერის უხეშ შოვინიზმათ, რომელიც მიმართულია ამ რესპუბლიკების სუსტ ერების წინააღმდეგ. ქართული შოვინიზმი (საქართველოში), მიმართული სომხების, ოსების, აჭარლების და აფხაზების წინააღმდეგ; შოვინიზმი აზერბაიჯანული (აზერბაიჯანში), მიმართული სომხების წინააღმდეგ; შოვინიზმი უზბეკური (ბუხარაში და ხორეზმში), მიმართული თურქმენებისა და ყირგიზების წინააღმდეგ, შოვინიზმი სომხური და შოვინიზმი სხვა სახეები, რომელთაც, სხვათაშორის, ხელს უწყობს ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და კონკურენციის პირობები, წარმოადგენენ უდიდეს ბოროტებას, რომელიც ზოგიერთ რესპუბლიკებს ჯახისა და უთანხმოების არენათ გადაქცევის საფრთხეს უმზადებს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა ეს მოვლენები აბრკოლებენ ერების ფაქტიური გაერთიანების საქმეს ერთიან სახელმწიფო კავშირში. რამდენათაც ნაციონალიზმის ეს ნაშთები წარმოადგენენ ველიკორუსული შოვინიზმისაგან თავდაცვის თავისებურ ფორმას, იმდენათ სასტიკი ბრძოლა ველიკორუსულ შოვინიზმთან საუკეთესო საშუალებაა ნაციონალისტური ნაშთების დასაძლევათ. რამდენათაც ეს ნაშთები იქცევა ადგილობრივ შოვინიზმათ, რომელიც მიმართულია ცალკე რესპუბლიკებში უფრო სუსტი ნაციონალური ჯგუფების წინააღმდეგ, პირდაპირი ბრძოლა მასთან შეადგენს პარტიის წევრების მოვალეობას. ამიტომ, ნაციონალისტურ ნაშთებთან და, პირველ რიგში, ამ ნაშთების შოვინისტურ ფორმებთან ბრძოლა შეადგენს ჩვენი პარტიის მესამე მორიგ ამოცანას.

8) ძველი მემკვიდრეობის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკების კავშირს საბჭოთა მოხელეების საგრძნობი ნაწილი, ცენტრში და ადგილობრივ, აფასებს არა როგორც თანასწორ სახელმწიფო ერთეულების კავშირს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ნაციონალური რესპუბლიკების თავისუფალი განვითარება, არამედ როგორც „მთლიანი და განუყოფელის“ შექმნის დასაწყისს. ძველი მემკვიდრეობის ასეთივე შედეგათ უნდა ჩაითვალოს რ. ს. ფ. ს. რ. ზოგიერთი უწყებების ლტოლვა ავტონომიურ რესპუბლიკების დამოუკიდებელ კომისარიატების დამორჩილებისაკენ, უკანასკნელთა ლიკვიდაციისაკენ გზის გასაკაფავად. კიცხავს რა ასეთ გაგებას როგორც ანტიპროლეტარულს და რეაქციონურს და აღიარებს რა ნაციონალური რესპუბლიკების არსებობის და შემდეგი განვითარების აბსოლიუტურ საჭიროებას. ყრილობა მოუწოდებს პარტიის წევრებს ფხიზლათ ადევნონ თვალი იმას, რომ რესპუბლიკების გაერთიანება და კომისარიატების შეერთება შოვინისტურათ განწყობილმა მოხელეებმა არ გამოიყენონ ნაციონალური რესპუბლიკების კულტურულ და სამეურნეო საჭიროებებისადმი უყურადღეობის დასაფარავად. კომისარიატების შეერთება არის საბჭოთა აპარატის გამოცდა: რომ ამ გამოცდამ პრაქტიკაზე მიიღოს დიდმპყრობლური მიმართულება, პარტია იძულებული იქნებოდა ამ გადამახინჯების წინააღმდეგ მიეღო გადამჭრელი ზომები თვით ზოგიერთი კომისარიატების შეერთების საკითხის გადასინჯვამდი, საბჭოთა აპარატის შესაფერად აღზრდამდი, მცირე და ჩამორჩენილი ერების საჭიროებისა და მოთხოვნილებისადმი ნამდვილ პროლეტარულ, ნამდვილ ძმურ ყურადღებით მოპყრობის მიმართულებით.

9) რესპუბლიკების კავშირი, შექმნილი ცალკე რესპუბლიკების მუშებისა და გლეხების თანასწორობისა და ნებაყოფლობის ნიადაგზე, წარმოადგენს პროლეტარიატის პირველ ცდას დამოუკიდებელი ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში და პირველ ნაბიჯს მომავალი მსოფლიო საბჭოთა შრომის რესპუბლიკის შესაქმნელათ.

რამდენათაც რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს ერების თანაცხოვრების და მათი თანამშრომლობის ახალ ფორმას ერთიან საკავშირო სახელმწიფოში, რომლის ფარგლებში ერთად მუშაობის პროცესში აღმოფხვრილი უნდა იქნას ზემოთ აღნიშნული ნაშთები,—კავშირის უმაღლესი ორგანოები ისე უნდა მოეწყოს, რომ სავსებით გამოხატავდენ კავშირის ყველა ერების არა მარტო საერთო საჭიროებებს და მოთხოვნილებებს, არამედ ცალკე ეროვნებების სპეციალურ საჭიროებებს და მოთხოვნილებებსაც. ამიტომ კავშირის არსებულ ცენტრალურ ორგანოებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ყველა მშრომელი მასების ინტერესებს განურჩევლად ეროვნებისა, თანასწორობის საფუძველზე უნდა შეიქმნეს ერების წარმომადგენლობის სპეციალური ორგანო. კავშირის ცენტრალური ორგანოების ასე მოწყობა სრულს შესაძლებლობას მოგვცემდა ფხიზლათ გვედევნა თვალ-ყური ერების მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი, თავის დროზე მოგვეცა საჭირო დახმარება—შეგვექმნა სრული ნდობის პირობები და, ამ რიგად, ყველაზე უმტკივნეულო გზით მოგვესპო ზემოთხსენებული მემკვიდრეობა.

10) გამოდის რა ზემოთ ნათქვამიდან, ყრილობა ურჩევს პარტიის წევრებს პრაქტიკულ ზომების სახით მიაღწიონ, რომ:

ა. კავშირის უმაღლესი ორგანოების სისტემაში მოეწყოს ყველა ნაციონალური რესპუბლიკების და ნაციონალური ოლქების წარმომადგენლობის ორგანო თანასწორობის საფუძველზე;

ბ. კავშირის უმაღლესი ორგანოების სისტემაში მოეწყოს ყველა ნაციონალურ რესპუბლიკების და ნაციონალური ოლქების წარმომადგენლობის სპეციალური ორგანო თანასწორობის საფუძველზე ამ რესპუბლიკების შემადგენელ ერების წარმომადგენლობის შეძლებისდაგვარათ აღრიცხვით;

გ. რესპუბლიკებს მიენიჭოს ფართე ფინანსიური და კერძოდ საბიუჯეტო უფლებები, რომელიც უზრუნველყოფს მათი საკუთარი სახელმწიფოებრივ-ადმინისტრატიული, სამეურნეო და კულტურული ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას;

დ. ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების ორგანოებს უნდა ხელმძღვანელობდენ უმთავრესად ადგილობრივი ელემენტები, რომლებმაც იციან სათანადო ერების ენა და ზნე ჩვეულებანი;

ე. გამოიცეს სპეციალური კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშობლო ენის ხმარებას ყველა სახელმწიფო ორგანოებში და ყველა დაწესებულებებში, რომლებიც ემსახურებიან ადგილობრივ სხვა ეროვნების მოსახლეობას და სხვა ეროვნების უმცირესობებს, კანონები, რომლებიც მთელი რევოლიუციონურის სისასტიკით სჯიან ყველა ეროვნების უფლებების და განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დამრღვევთ;

ვ. გაძლიერებული იქნას აღმზრდელობითი მუშაობა წითელ ჯარში კავშირის ერების სოლიდარობის და ძმობის იდეების გავრცელების მნიშვნელობით და მიღებულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებები ნაციონალური ჯარის ნაწილების მოსაწყობათ ყველა იმ ზომების დაცვით, რომლებიც საჭიროა რესპუბლიკის სრული თავდაცვის უნარიანობის უზრუნველსაყოფად.

II

1) ჩვენი პარტიის ორგანიზაციის განვითარება ნაციონალური რესპუბლიკების უმრავლესობაში მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომლებიც ნაკლებად უწყობენ ხელს მათ ზრდასა და განვითარებას.

ამ რესპუბლიკების ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ, ნაციონალურ პროლეტარიატის მცირე რიცხოვანობამ, ადგილობრივი ელემენტებიდან ძველი, გამოცდილი პარტიული მუშაკების სიმცირემ ან სრულიად არ ყოლამ, მშობლიურ ენაზე სერიოზული მარქსისტული ლიტერატურის უქონლობამ, პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტემ, და ბოლოს, რადიკალურ-ნაციონალისტურ ტრადიციების არსებობამ, რომლებიც ჯერ კიდევ არ მომსპარან,—ადგილობრივ კომუნისტებში გამოიწვია გარკვეული გადახრა ნაციონალურ თავისებურობის გადაფასებისაკენ და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების სათანადოდ არ დაფასებისაკენ, გადახრა ნაციონალიზმისაკენ. ეს მოვლენა საშიში ხდება განსაკუთრებით რამდენიმე ეროვან რესპუბლიკებში რომლებშიც ის იღებს უფრო ძლიერი ერის კომუნისტებში შოვინიზმისაკენ გადახრის ფორმას, რომელიც თავისი მახვილით მიმართულია სუსტი ერების კომუნისტების წინააღმდეგ (საქართველო, აზერბეიჯანი, ბუხარა, ხორეზმი). ნაციონალიზმისაკენ გადახრა საშიშია იმ მხრივაც, რომ ის აფერხებს რა ნაციონალური პროლეტარიატის ნაციონალური ბურჟუაზიის გავლენისაგან განთავისუფლების პროცესს, აძნელებს ცალკე ერების პროლეტარიატის შეკავშირებას ერთიან ინტერნაციონალურ ოჯახში.

2) მეორე მხრივ, პარტიის ცენტრალურ ორგანოებში და აგრეთვე ნაციონალური რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ორგანიზაციებში რუსი ეროვნების ძველი პარტიული მუშაკების მრავალრიცხოვანი კადრის არსებობა, რომლებიც არ იცნობენ ამ რესპუბლიკების მშრომელი მასების ზნე ჩვეულებებს და ენას, და ამიტომ ხშირად სათანადო სიფრთხილით ვერ ეპყრობიან მათ საჭიროებებს,—გამოიწვია ჩვენს პარტიაში გადახრა ნაციონალური ენისა და თავისებურობის სათანადოდ არ დაფასებისაკენ პარტიულ მუშაობაში, ამაყი და ამპარტავნული მოპყრობა ამ თავისებურობისადმი, გადახრა ველიკორუსულ შოვინიზმისაკენ. ეს გადახრა საშიშია არა მარტო იმიტომ, რომ ის აფერხებს რა ადგილობრივი, ნაციონალური ენის მცოდნე პირებიდან კომუნისტური კადრების შექმნის საქმეს და ქმნის რა პარტიის ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელი მასებისაგან ჩამოშორების საშიშროებას, არამედ იმიტომაც, რომ ის კვებავს და ზრდის ზემოთ დახატულ გადახრას ნაციონალიზმისაკენ და აძნელებს მასთან ბრძოლას.

3) კიცხავს რა ამ ორგვარ გადახრას, რომლებიც მავნე და საშიშია კომუნიზმის საქმისათვის და აპყრობს რა პარტიის წევრების ყურადღებას ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის განსაკუთრებულ მავნეობას, ყრილობა მოუწოდებს პარტიას ჩვენს პარტიულ მშენებლობაში ამ ძველი ნაშთების დაჩქარებით ლიკვიდაციისაკენ.

როგორც პრაქტიკულ, ზომებს ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს გაატაროს შემდეგი:

ა) უმაღლესი ტიპის მარქსისტული წრეების მოწყობა ნაციონალური რესპუბლიკების ადგილობრივ პარტიულ მუშაკებიდან;

ბ) პრინციპიალური მარქსისტული ლიტერატურის განვითარება მშობლიურ ენაზე;

გ) გაძლიერება აღმოსავლეთის ერების უნივერსიტეტისა და მისი განყოფილებისა ადგილობრივ;

დ) ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ადგილობრივი მუშაკებისაგან ინსტრუქტორთა ჯგუფების შექმნა;

ე) მშობლიურ ენაზე მასიურ პარტიული ლიტერატურის განვითარება;

ვ) რესპუბლიკებში პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება;

ზ) რესპუბლიკების ახალგაზრობაში მუშაობის გაძლიერება.

4) იმ უდიდესი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს პასუხისმგებელ მუშაკების მოქმედებას ავტონომიურ და დამოუკიდებელ რესპუბლიკებში და განაპირა რაიონებში საერთოდ (განხორციელება კავშირისა ამა თუ იმ ადგილის მშრომელთა და კავშირის დანარჩენ ნაწილის მშრომელებს შორის), ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ზომები ამ მუშაკების გულმოდგინეთ შესარჩევად ისე, რომ მათი შემადგენლობა სავსებით უზრუნველყოფდეს ნაციონალური საკითხის შესახებ პარტიის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

მუშათა ცხოვრება

პროლეტარული პრესის ზეიმი
(„ზარია ვოსტოკას" რედაქციაში).

პირველი მაისის შემდეგ
ოთხ დღემ გაიარა,
„კომუნისტის" რედაქტორმა
ძმურად დამიბარა.

გახარებული წაველი,
თვალი გავახილე,
გაზეთის თანამშრომლები
ყველა იქ ვიხილე.

მითხრეს: დღეს ხომ ზეიმია
მუშათა პრესისო,
წინად რომ მუდამ სტიროდა—
ახლა სულ მღერისო.

„ზარია ვოსტოკას"
მიწვეულნი ვართო,
მწერალ-პოეტები მოვლენ
დარჩეულებიო.

დიდ დარბაზში რომ შევედით,
რაღა არა ვნახე!
მეტის სიხარულისაგან
გამიბრწყინდა სახე!

პურ-მარილით სავსე იყო
თეთრი მაგიდები.
აქ სიტყვა არავის ჰქონდა
ვისმეს სარიდები.

გაიმართა მილოცვები
და პატივისცემა,
ერთობა-დაკავშირება,
მჭიდრო განმტკიცება.

სურათების გადაღება,
სიყვარულით მზერა,
დღეს გაზეთში წაიკითხოს
ვისაც არა სჯერა.

ერთი დიდი სინამდვილე
მეტად მაკვირვებდა:
წინად ამ მდიდარ დარბაზში
ვინ შემომიშვებდა!..

აქ გული გულსა ხვდებოდა,
აგრე თვალი თვალსა,
დარბაზი ტკბილ ხანს აძლევდა
ინტერნაციონალსა!

ხმალ ხანჯალმა ასპარეზი
დღეს დაუთმო კალამს
და მსოფლიო პროლეტარებს
შორით უძღვნის სალამს!

ახლა კი მეც დავისვენებ
მიჩვეული კვნესას...
გაუმარჯოს პროლეტარულ
თავისუფალ პრესას!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

დამხმარე კასა
ამხ. ლენინის ს. ხელობის მე-[illegible]-ე თუთუნის ქარხანაში.

აღნიშნულ ქარხანაში უწინ არსებობდა დამხმარე კასა, მაგრამ ამ ბოლო დროს მისი მუშაობა შეჩერდა. ერთ უკანასკნელ, ადგილობრივ მუშათა საერთო კრებაზედ გამოვიდა მოხსენებით დამხმარე კასის შესახებ—პასუხისმგებელი მდივანი ჩვენი კავშირისა ამხ. არნაუხოვი, რომელმაც დაასურათა ამგვარ კასების აუცილებელი საჭიროება—მრავალგვარ მაგალითების მოყვანით, მუშების დახმარებისათვის. ქარხნის მუშებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს ამხ. არნაუხოვს, გაიგეს საკმაოდ მნიშვნელობა დამხმარე კასისა და მეორე დღესვე წავიდნენ ჩასაწერად ადგილკომის მდივანთან. დამხმარე კასის საკითხმა მიიქცია სერიოზული ყურადღება ყველა ჩვენი მუშების და მუშა-ქალებისა. ქარხანაში მუშაობენ სულ—180 კაცი—მუშა-მოსამსახურენი რომელთა რიცხვიდან დამხმარე კასაში უკვე ჩაეწერა 130. დღემდე დარჩა ჩაუწერავი მხოლოდ 50 კაცი, რომელნიც, იმედია, მალე ჩაეწერებიან კასაში.

აი, შედეგი საკითხის კარგად გაშუქებისა მუშებში. კარგმა განმარტებამ კარგი ნაყოფიც მოიტანა. ვიმედოვნებთ, სხვა მუშებიც მიბაძავენ ჩვენი მუშების მაგალითს.

ინფ.-კორ.—**მახიური.**

ასალაგმავი ვაჭარი
(ქ. თბილისის აღმასკომის საყურადღებოდ).

ტროცკის ქუჩაზედ (ყოფ. პეტრე დიდისა). № 1, სადაც ბინადრობს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარის ავტო-რაზმი, არის გახსნილი პატარა დუქანი, რომელშიაც წარმოებს მაგარ სასმელებით ვაჭრობა. „გულკეთილი" მედუქნე აძლევს ნისიად (უმეტეს ნაწილად კი ნაღდად) მუშებს სასმელებს და საუზმეულობას, და ამ რიგად ხელ-ფეხს უბორკავს მათ. ჯამაგირის მიღებისთანავე—მათ უხდებათ მთლად აღებული ხელფასის მედუქნისათვის მიცემა. დუქნის შენობა ეკუთვნის თბილისის აღმასკომს. ეს დუქანი პირველად იყო აღებული იჯარით საპირფარეშოს მეპატრონის მიერ, რომელსაც მიეკედლა ზემოხსენებული მედუქნე..

პირველად დახელოვნებული ვაჭარი ვაჭრობდა გამომცხვარი პურით,—მალულად კი მაგარ სასმელებით, ამ ჟამად ის ვაჭრობს მარტო ღვინით და სპირტით. სხვების თვალის ასახვევად კი ვიტრინაში აქვს გამოფენილი ყოველ ნაირი საუზმეულობა და ხანდისხან გამომცხვარი პურიც.

სასურველია თბილისის აღმასკომი, რაც შეიძლება ჩქარა დაეხმაროს ამ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარის ავტო-რაზმის მუშებს აღნიშნული მედუქნის სრულიად იქიდან გაძევებაში. დუქანი კი უნდა გადაეცეს ავტო-რაზმს ტანსაცმელის და ფეხსაცმელის სამკერვალოს გასაღებად. ამ დარგის ხელოსნები ავტორაზმში საკმაოდ იმყოფებიან.

მუშები ელიან აღმასკომის მიერ ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარებას.

ინფ.-კორ.—მახ.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თანამშრომელთა კოოპერატივი

ამ კოოპერატივს აქვს თავის 5 წლის არსებობის ისტორია და მისი მომხმარებელი საზოგადოება შესდგება უმაღ. სამეურნეო საბჭოს მუშა-მოსამსახურეთაგან. დღემდე კოოპერატივის საქმე სასურველად მიმდინარეობს და მომხმარებელნიც კმაყოფილი არიან მის მუშაობით. კოოპერატივის თანამშრომლებიც კმაყოფილი არიან თავისი ეკონომიური მდგომარეობით. მათ აქვთ ჯამაგირები თავის დროზე, რომელიც რიგდება თვის 15 და 30 რიცხვებში. მოსამსახურეებში არ ურევია არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი პირი მათ აქვთ თავის დროზე საექიმო დახმარება და საერთოდ ისინი გამოსთქვამენ კმაყოფილებას კოოპერატივის გამგეობისადმი. მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთ ამ ჟამად ძალიან აშინებს ის გარემოება, რომ ახლო მომავალში მათ მოელის უმუშევრად დარჩენა, რადგან, როგორც სჩანს, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ასეთი კოოპერატივები უნდა დაიშალონ და შეუერთდენ მუშათა მთლიან კოოპერატივებს. თუ მუშების ეს მოლოდინი არ გამართლდა, აუცილებლად საჭირო იქნება უმუშევრად დარჩენილ მუშა-მოსამსახურეთათვის სხვა (შესაფერისი) სამსახურის აღმოჩენა. ამის გარდა აქაურ მუშებს გაზეთები სრულებით არ მოსდით, რაც უნდა ჩაითვალოს არანორმალურ მოვლენად. ადგილკომი ვალდებულია, მიაქციოს ამას სერიოზული ყურადღება და მუშებს დაუყოვნებლივ გამოუწეროს გაზეთები.

მუშ.-კორ.—**ჩხმელი.**

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა: რა წესით ხდება მუშაობიდან განთავისუფლება იმ მუშა-მოსამსახურეთა, რომელთაც ავადმყოფობის, ან ფეხმძიმობის გამო (ქალები) დროებით შრომის უნარი დაკარგეს?

პასუხი: ყოველი დაზღვეული მუშა-მოსამსახურე, რომელსაც ავადმყოფობის გამო სჭირდება მუშაობისაგან განთავისუფლება, ვალდებულია წინდაწინვე დამზღვევ კასის ექიმისაგან მიიღოს სათანადო ბარათი—დაზღვეულთათვის სამკურნალო ქვე-განყოფილების, ან მის ამბულატორიის ბეჭდით, რომელშიაც უნდა იყოს აღნიშნული ექიმის დიაგნოზი და შრომის უნარის დაკარგვის პირველი დღის თარიღი.

კითხვა: ვალდებულია თუ არა ავადმყოფი ექიმის ბარათი წარუდგინოს თავის ადგილკომს, ან ადმინისტრაციას?

პასუხი: ექიმის ბარათი მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ აუცილებლად უნდა იქნეს წარდგენილი ადგილობრივ კომიტეტში, ხოლო სადაც ასეთი არ არსებობს, იმ დაწესებულების ადმინისტრაციაში, სადაც მსახურობს ავადმყოფი; მხოლოდ აღნიშნულ მოწმობა-ბარათებით შეუძლია ავადმყოფს მიიღოს სათანადო ბიულეტენი.

კითხვა: როგორ ხდება ბიულეტენის მიღება იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფი უშუალოდ საავადმყოფოში მოხვდება?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევებში ქარხნის და ადგილკომებისაგან ბიულეტენის მისაღებად აუცილებლად საჭიროა მათთვის იმ საავადმყოფოს, სადაც ავადმყოფი წევს, სათანადო მოწმობის წარდგენა, მთავარ ექიმის ხელის მოწერით და საავადმყოფოს ბეჭდის დასმით:

კითხვა: ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეს ავადმყოფობის დროს მისცეს ჯამაგირები?

პასუხი: არა. აღნიშნულ ჯამაგირებს დახმარების სახით ავადმყოფი ღებულობს დამზღვევ კასიდან.

(იხ. დამზღვევ კას. ინსტრ. მუხ. 1, 2, 6).

მუშათა ქრონიკა
მუშათა პრესის საზეიმო დღესასწაული.

— მიმდინარე წლის 5 მაისს მუშათა პრესის დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს დიდ დარბაზში შესდგა ადგილობრივი გაზეთების რედაქციათა წარმომადგენლების და მათი თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მრავალრიცხოვანი საზეიმო კრება-ბანკეტი. კრებაზე მუშათა პრესის მნიშვნელობის და მუშკორების კლუბის გახსნის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიასნიკოვმა, რის შემდეგ გამართულ კამათში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ამხ. ამხ. მუშკორებმა. ბანკეტი დამთავრდა განსაკუთრებულ საორგანიზაციო კომისიის არჩევნებით, რომელსაც კრების მიერ დაევალა მუშკორების კლუბის გახსნის, ბიუროს და სხვა ამათთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარება და მოწესრიგება.

ამხ. ამხ. მუშკორებს ამიერ-კავკასიის რაიკომი გაუმასპინძლდა ღირსეული საუზმით.

— საღამოს იმავე დღეს მუშკორების საპატივსაცემლოდ მუშათა სასახლეში გაიმართა საღამო-კონცერტი, რომელზედაც ჩვენი მუშკორები დაუღალავად დაისწრენ და დიდად ნასიამოვნებნი ღამის პირველ საათზე დაიშალნენ.

პირველი მაისი სართიჭალაში.

30 აპრილს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიერ ვიყავით გაგზავნილი შვიდი კაცი—პირველ მაისობის ჩასატარებლად საგარეჯოს და სართიჭალის რაიონებში.

საღამოს შვიდი საათი იყო, რომ მოვედით სართიჭალის აღმასრულებელ კომიტეტში. აღმასკომის წევრებთან გვქონდა თათბირი თუ როგორ უნდა ჩაგვეტარებინა პირველი მაისობა და გავიყავით ორ ჯგუფად: ერთი ჯგუფი წავიდა საგარეჯოში და მეორე კი დავრჩით სართიჭალაში მაისობის ჩასატარებლად.

მეორე დღეს, პირველ მაისს დილის 10 საათზე თავს იყრიან მოედანზე სართიჭალის გლეხობა და მერე კი თანდათანობით წითელი დროშებით და სიმღერებით სხვა და სხვა სოფლებიდან, როგორიც არის მაგალითად: პატარძეული, მალხაზოვკა მულღანლო, ხაშმი და სხვა.

განსაკუთრებით სოფელ ხაშმის გლეხობა სტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას. მათ ჰქონდათ ურემზე მოწყობილი კარნავალი შემდეგი სურათით:

სოფლის გლეხი წითელ ხალათში, თავის ნამგლით და ქალაქის მუშა ლურჯ ხალათში ჩაქუჩით,—ეს იყო სიმბოლო მუშის და გლეხის დაკავშირების.

ურემი მორთული იყო წითელი დროშებით და პლაკატებით, ზევიდან კიდევ წითელი ვარსკვლავი მოუწოდებდა მსოფლიოში საერთაშორისო პროლეტარიატს სოციალისტურ—რევოლიუციისაკენ. ამავე ურემზე მოწყობილი ხმებით გლეხობა მღეროდა ინტერნაციონალს, პირველ მაისს და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს.

მერე მიტინგზე მოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები ადგილობრივი, სართიჭალის ნემცები შეხვდნენ მუსიკით წითელ არმიას.

დაახლოვებით დილის 12 საათზე გლეხობა შეგროვდა თითქმის ხუთი ათასი კაცი. აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ვალერიან ლეჟავა განისლათ აცხადებს მიტინგს.

სიტყვას აძლევს ამხ. ნესტორ ცერცვაძეს, რომელმაც განმარტა პირველი მაისის მნიშვნელობა ის აგრეთვე გაკვრით შეეხო რელიგიასაც.

მეორეთ მიეცა სიტყვა ამხ. თოდუას, რომელმაც კახეთის პარტკომის სახელით მიულოცა ხალხს პირველ მაისის დღესასწაული.

შემდეგ გამოდის მუშა ამხ. ფირიაშვილი, რომელიც თავის მშობლიურ ენით ახასიათებს პირველ მაისობას, ძველ დროში და ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს.

წითელი არმიის სახელით ამხ. კომისარმა ამხ. ყაჭეიშვილმა ნათლად გააშუქა პირველი მაისობის მნიშვნელობა და აგრეთვე ძლევა მოსილი მუშურ-გლეხურ წითელ არმიის როლი და მნიშვნელობა.

კომკავშირის სახელით გამოვიდა ამხ. შიქავა.

მისალმებითი სიტყვით გამოდის სართიჭალის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნიკო სამანაშვილი.

აღსანიშნავია აგრეთვე გამოსვლა ყოფილ ძველ მენშევიკის ტერია მარტურაძისა, რომელმაც მიტინგზე გამოააშკარავა მენშევიკების ბოროტმოქმედება მუშათა მოძრაობის წინაში და დაადასტურა, რომ მუშათა პარტია არის მხოლოდ კომუნისტური პარტია.

მხურვალე სიტყვებით გამოდის ს. პატარძეულის გლეხი უპარტიო ამხ. ფირცხალაური და თათრულ ენაზე სოფელ მულღანლოს გლეხი.

ბოლოს გამოდიან სოფლის მასწავლებლები, რომლებმაც აღნიშნეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა და ხაზი გაუსვეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ფართოთ უღებს კარებს გლეხობას სწავლის შესაძენად.

15-მდე ბავშვები გამოვიდნენ ლექსებით, პირველ მაისობის და მშრომელი ხალხის შესახებ. გლეხ-კაცობა აღფრთოვანებაში შევიდა და დიდი კმაყოფილებით მოისმინა ბავშვების მიერ წაკითხული ლექსები.

ლექსების გათავების შემდეგ გაიმართა ტან-ვარჯიშობა სოფელ ხაშმის მოწაფეებისაგან რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მიტინგზე.

ტან-ვარჯიშობის შემდეგ ბავშვები მწყობრათ სდგებიან თავიანთ ალაგზე. ბოლოს ამხ. ვ. ლეჟავა მიტინგს დახურულათ აცხადებს.

სართიჭალის ადგილობრივ თეატრში საღამოს რვა საათზე გლეხობა იყრის თავს წარმოდგენაზე. სანამ ფარდა გაიხსნებოდა, უკრავდა გერმანელების ორკესტრი. დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ფარდის ახდამდი ამხანაგი ლ. კობახიძისა ახასიათებს ქალთა მოძრაობას და მოუწოდებს ქალებს საერო მუშაობისაკენ. იხსნება ფარდა მხიარული პიესით „ველიკოლეპნო შენი—პირიმე". სცენაზე თამაშობდნენ ადგილობრივი გლეხები.

წყალსადენის მუშა კორ. ნ. ფ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: ისრაელ მარუტიანს, სირანუშ ოვანესიანს, ქალაქის მილიციის იაჩეიკიდან—ჩეგელიას, დეკიაბას, სოხაძეს, ზაზალაშვილს და სახალხო კომისართა საბჭოს იაჩეიკიდან—მეძმარიაშვილს და ჯაკაბაძეს—პარტიული დისციპლინის ძალით გამოცხადდნენ რაიკომში არა უგვიანეს 10 მაისისა.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ:
ხაცკევიჩი.

— შაბათს, 12 მაისს, დღის 1 საათზე (ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის) მე-4-ე რაიონის პარტიულ სკოლის შენობაში მოწვეულია მე-4-ე რაიონის ყველა მუშათა კლუბების გამგეობათა და კლუბის მუშაკთა თათბირი. დღის წესრიგში: საკითხი პროფკავშირთა საბჭოს ცენტრალურ კლუბში და ადგილობრივ კლუბებში საკლუბო მუშაობის დაყენების შესახებ.

მოწვეული არიან: პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილება, მბეჭდავების, ზემო-კავების, სახალხო დამოკიდებულების კავშირების კულტურული განყოფილებანი, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის იაჩეიკის ბიურო, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ყველა იმ იაჩეიკების მდივნები, რომელთა დაწესებულებებში მოიპოება კლუბები.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: არუსტანოვი.

— საქართველოს [illegible] ტფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება [illegible] რომ სამშაბათს, 8 აპრილს, საღამოს 6 საათზე განახლდება მეცადინეობა რაიონულ პარტიულ სკოლაში. წინადადება ეძლევა ყველა მსმენელებს გამოცხადდნენ მეცადინეობაზე.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: არუსტანოვი.

— 10 მაისს—ამხ. ლემშეინის მოხსენება: „ბელეტრისტული ნაწარმოები ბუნებისმეტყველებაში.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

ოთხშაბათს 9 მაისს საღამოს 5 საათზე ჩურსინის მორიგი ლექცია.

საღამოს 7 საათზე ისტორიულ ქვესექციაში ამხ. ამხ. კოზლოვსკის, უმანცევის მოხსენებები: „აფრიკანულ ზღაპრების შესახებ".

სახლის გამგე შიუკაშვილი.

პროფესიული.
განათლების მუშაკთა სახლში.

— ოთხშაბათს 9 მაისს, საღამოს 7 საათზე ისტორიულ ქვესექციაში კოზლოვსკის და იუმანცევის მოხსენება: „აფრიკანულ ზღაპრების შესახებ".

საბავშვო ბაღების ქვესექციაში საღამოს 7 საათზე მოხსენება შემდეგ თემაზე: „ანბანის სწავლება მონტესორის მეთოდებით". საღამოს 7 საათზე შესდგება ნეოფილოლოგების პირველი ორგანიზაციული კრება.

— ხუთშაბათს, 10 მაისს, საღამოს 7 საათზე მუსიკისა და სიმღერის ქვესექციაში ამხ. რუდეკო გააკეთებს ნ. მ. ეროშენკოს სიმღერის ამერიკულ მეთოდის სახელმძღვანელოს გარჩევას.

განცხადებები

სახელმწიფო ოპერა
კრ. 870—1—1

დღეს, 8 მაისს,
აიდა
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი
კრ. 375—1—1

სამშაბათს, 8 მაისს,
დამსახურებული მსახიობის
მარო საფაროვ-აბაშიძის
საღამო.
1. მასკოტი. 2. ვექილთან.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აღმასკომის საფინანსო განყოფილება
ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს, 10 მაისს, დღის 12 საათზე თბილისის აღმასკომის შენობაში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ქალაქ. შეშის საწყობის № 1, რომელიც მდებარეობს რკინის გზის [illegible] დაგთან იჯარით გასაცემათ. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საფინანსო განყოფილებაში ოთახი № 15.
საფინანსო განყოფილების გამგე მღ. ფიალკოვსკი.
კრ. 374 2—1

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში აცხადებს
სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა მეპატრონეების, ტრესტების და სინდიკატების, დაწესებულებების და ორგანიზაციების, რომლებიც ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ თავიანთი ანგარიშები (საკრედიტო დაწესებულებები, სააქციონერო და შერეული საზოგადოებები, კოოპერატივები და სხვა) და პირად სარეწავ საქმიანობის მქონე პირთ (საბირჟო მაკლერები, ექსპედიტორები, ნოქრები და სხვა) **საყურადღებოდ**, რომ ამიერ-კავკასიის ფინსახკომის განკარგულების თანახმად სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა შესანახად და პირად სარეწავ საქმიანობისათვის სარეწავი მოწმობების აღება მიმდინარე წლის პირველ ნახევრისათვის უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 15 მაისისა.
სარეწავი მოწმობების გაცემა ქ. თბილისში მოხდება ხაზინიდან, სახალხო ბანკიდან და ცენტრალურ კასიდან,—დანარჩენ რესპუბლიკის ქალაქებში კი ხაზინებიდან.
კრ. 375 1—1

ს. ს. ს. რ. საარქივო სამმართველო
ამით აცხადებს რომ სამშაბათს, 8 მაისს, დღის 11 საათზე სამმართველოს კანცელარიაში (ლენინის, ყოფ. ოლღას ქ. № 48) დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სხვა და სხვა წვრილმანი საოჯახო ნივთების გასასყიდად. სხვათა შორის გაიყიდება ორი ახალი გუთანი და სამი ქვაბი. ნივთების ნახვა შეიძლება ყოველ დღე კანცელარიაში
№ 638 1—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ მედევანიშვილის ხელმძღვანელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ.
საავადმყოფოს სპეციალისტი ექ. სვიმონ ყიფშიძის [illegible] ხელობით, ტფილისი, [illegible] ქ. № 20.
(501—25—17)

ქ. ტფილისის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე
იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მიხეილ გიორგის ძე აბაშიძისა, რომელთაც ნება აქვთ განაცხადონ თავიანთი უფლება მემკვიდრეობაზე ორი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა.
639 1—1
სახალხო მოსამართლე დ. აფციაური.

დაიკარგა პირადობის მოწმობა ალექსანდრე მელიქოვის სახელზე, პირველ კომისარიატის მიერ მიცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.
(1—1)

დაიკარგა მატრიკული სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის (ისტორიული დარგის) გაცემული 1920 წლის იანვრიდან ჩაითვალოს გაუქმებულად. პანტელეიმონ ვასილის ძე შარაბიძე.
687 1—1

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის დებულების ძალაში შესვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ძალაში შესულად ჩაითვალოს გამოქვეყნების დღიდან, ამასთანავე დართული დებულება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და ამა დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. მაისის 2-ს თარიღითა და 16 №-ით და ივნისის 28-ს თარიღითა და 30 ნომრით გამოცემული დადგენილებანი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 4.
ტფილისი—სასახლე.

დებულება.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ.

1. მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცეს თავისი რაიონის მცხოვრებთათვის სავალდებულო დადგენილებანი მართველობისათვის და წესიერების დაცვისათვის, აგრეთვე იმ მოქმედი დეკრეტებისა და დებულებათა განვითარებისათვის, რომელიც შეეხება საზოგადოებრივ უშიშროებას და წესიერებას, ხალხის ჯანმრთელობას, ვაჭრობის მოწესრიგებას, გადასახადთა აკრეფას, სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლას, საამშენებლო წესდებას და სხვ., ამასთანავე სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს სასჯელი, რომელიც ადმინისტრატიული წესით დაიდება ამ დადგენილების აუსრულებლობისათვის.

2. სავალდებულო დადგენილება შეიძლება გამოცემულ იქნეს ერთ წლისაზე არა უმეტესი ვადით.

3. სავალდებულო დადგენილებას ხელი უნდა მოაწეროს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ან მისმა მოადგილემ და დაამოწმოს მდივანმა; სავალდებულო დადგენილება უნდა გამოქვეყნებულ იქნეს საყოველთაო ცნობისათვის.

4. აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას უფლება არა აქვს დამოუკიდებლად გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, მაგრამ თავისი მოსაზრება სავალდებულო დადგენილების გამოცემის შესახებ უნდა წარუდგინოს სათანადო მაზრის და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს; ამასთანავე პროექტი პრეზიდიუმს უნდა წარედგინოს მართველობის სათანადო განყოფილებასთან წინასწარი შეთანხმებით.

5. ყველა გამოცემული სავალდებულო დადგენილება მართველობის სათანადო განყოფილებამ უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

6. მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო დადგენილება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

7. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დამნაშავეს შეიძლება დაედოს:

ა) ჯარიმა ფულად არა უმეტეს 100 მანეთისა ოქროთი;

ბ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად ორ თვემდე;

გ) დატუსაღება ორ თვემდე.

8. უკეთუ სავალდებულო დადგენილება დარღვეულ იქნა, უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ ოქმის შესადგენათ უფლება მოსილი თანამდებობის პირი, აგრეთვე სავალდებულო დადგენილების დამრღვევი და მოწმეები. უკეთუ დამრღვევი უარს იტყვის ხელის მოწერაზე, ეს გარემოება ოქმში უნდა აღინიშნოს და თანაც ნაჩვენები იქნეს უარის მოტივი.

9. ოქმი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ქალაქის ან მაზრის მმართველობის განყოფილებას, სადაც გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ; დადგენილება ძალაში შედის მმართველობის განყოფილების გამგის მიერ დამტკიცების შემდეგ.

შენიშვნა: უკეთუ ოქმიდან სჩანს, რომ სავალდებულო დადგენილების დამრღვევს ჰბრალდება ისეთი ქმედობა, რომელიც სასამართლოს წესით უნდა იქნეს დევნილი, საქმე გადაეცემა სათანადო პროკურორს ან მის თანაშემწეს შემდგომი წარმართვისათვის.

10. ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადების დროს დაცულ უნდა იქნეს შემდეგი:

ა) დადგენილებაში ნათლად უნდა იქნეს აღნიშნული დამრღვევის ვინაობა, მის მიერ ჩადენილი დარღვევა და აგრეთვე სასჯელის ოდენობა;

ბ) დარღვევა, რომელიც დამრღვევს ბრალდება სისწორით უნდა შეეფერებოდეს იმ ქმედობას, რაც უწყებულ სავალდებულო დადგენილებაშია აღნიშნული;

გ) ადმინისტრატიული წესით სასჯელი შეიძლება დაედოს დამნაშავეს ორი თვის განმავლობაში დღიდან დანარღვევის გამოაშკარავებისა;

დ) უკეთუ ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადებამდე სავალდებულო დადგენილების აღნიშნული დარღვევის საქმეს სასამართლო მიიღებს განსხილველად, დამრღვევი არ შეიძლება იმავე ქმედობისათვის ადმინისტრატიული წესით დაისაჯოს.

11. დადგენილება, რომლითაც სასჯელია დადებული, წერილობით უნდა იყოს და გამოეცხადოს იმ პირს, ვისაც ეს სასჯელი უნდა გადახდეს.

12. ადმინისტრატიული წესით დასჯილს, უკეთუ იგი უკმაყოფილო იქნება, შეუძლიან სთხოვოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილების გადასინჯვა, ან ეს დადგენილება განასაჩივროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შვიდი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოტანისა. საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

13. ადმინისტრატიული წესით აშკარად უკანონო დადება სასჯელისა გამოიწვევს არა მხოლოდ დადგენილების გაუქმებას, არამედ იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობასაც სასამართლოს წესით, რომელმაც სასჯელი დაადო.

14. უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამხედრო სამსახურში მყოფი პირი, მასზე დადებული სასჯელი სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს სათანადო სამხედრო უფროსის მეშვეობით, რომელსაც უნდა გაეგზავნოს დადგენილება სასჯელის დადების შესახებ.

15. დებულება ესე არ გავრცელდება იმ ადგილებზე, სადაც სამხედრო წესები იქნება შემოღებული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 4.
ტფილისი—სასახლე.

ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ბანდიტების მეთაურის მოკვლა

თელავი. მილიციის მიერ მოკლულია ჩოლოყაშვილის ბანდის ხელმძღვანელი იოსებ კაპაშვილი, შეპყრობილია შვიდი აქტიური წევრი; ოპერაციამ იმსხვერპლა ერთი მილიციონერი. მილიციის მიერ იმავე შეტაკების დროს მძიმეთ დაჭრილია და შეპყრობილია ჩოლოყაშვილის ბანდიდან ცნობილი ბანდიტი კანდელაკი. დევნა ბანდისა გრძელდება.

დახმარება მებრძოლთ

ს. კომ. საბჭოს თავმჯდომარის ა. გეგეჭკორის განკარგულებით, გაცემულია 200 მილიონი აღნიშნული მილიციონერის და საერთოდ ოპერაციაში წარჩინებულთა დასახმარებლად.

ქრონიკა

— **რურის მუშების სასარგებლოდ.** ს. კ. პ. [illegible] ორგანიზაციის მიერ ა/წ. აპრილში რურის ოლქის მუშების სასარგებლოთ გამართული იყო მთელი რიგი წარმოდგენებისა, რომლების შემოსავალიც 77.350.000 მან. წარდგენილია კომინტერნის ფონდის თბილისის კომიტეტში.

— **მიწის ძვრა.** ა/წ. 4 მაისს საღამოს 7 ს. 36 წ. საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია შორეული ძლიერი მიწის ძვრა. კერა დაშორებულია არა ნაკლებ 9000 კილომეტრისა.

— **აბრეშუმის ფაბრიკა.** ცეკავშირმა ქ. მოსკოვში შეიძინა [illegible] ფაბრიკისთვის საჭირო საგნები და ახლო ხანში შეუდგება მის მოწყობას. როგორც ირკვევა ადგილობრივ არ მოიპოება ფაბრიკისათვის საჭირო დახელოვნებული მუშები—ამის გამო ცეკავშირის გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს ასეთი მუშები სხვა ქვეყნებიდან. რის შემდეგ ფაბრიკა დაიწყებს მუშაობას.

— **დახმარება ინვალიდებს.** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა 50 მილიონი გადასდო დამშეულთა მთავარი კომიტეტის განკარგულებაში ინვალიდების დასახმარებლად.

— **ჰიდრო-ელექტრონის სადგურისათვის** მოსკოვიდან მოსულ ცნობის თანახმად, ამხ. თედო ღლონტს, რომელიც მივლინებული იყო მოსკოვს, უკვე მიუღია რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ ტფილისის ჰიდრო-ელექტრონის სადგურისათვის გადადებული 830 მან. ოქროთი, რომლითაც ღლონტს შეუძენია საჭირო მასალები აღნიშნულ სადგურის საჭიროებისათვის.

— **ახალშენი ამხ. ლენინის სახელზე.** ლენინის სახელობის ახალშენის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკომის წინაშე, რათა მისცეს მათ ახალშენის საჭიროებისათვის საჭირო მასალები ოქროს ვალუტით.

— **უმუშევართა სასადილო.** 1 მაისს შრომის კომისარიატის მიერ გახსნილ უმუშევართა სასადილოს სახ. სასურსათო კომისარიატმა გადასცა 200 ფუთი ფქვილი დახმარების სახით.

გამომცემლობა.

— **პრემია მისჯილი წიგნი.** სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ სახელმძღვანელოს „ჩვენი სკოლა" 3 ნ. წ. მიუსაჯა პრემია: წიგნი შედგენილია პედაგოგების თ. კიკვიძის, გ. ჭუმბურიძის და ფ. მგელაძის მიერ და ძლიერ ლამაზადაა გამოცემული: გარდა შავი სურათებისა წიგნში მოთავსებულია 16 ფერადი სურათი.

კრებები და მოხსენებები

— სამშაბათს 8 მაისს, საღამოს 7 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. საისტორიო-სალიტერატურო წრე გამართავს მორიგ მოხსენებას. მომხსენებელია აწ. ე. ბაკურაძე თემა; ეგნატე ნინოშვილი.

ხელოვნება

ია კარგარეთელის იუბილე.

შაბათს, 5 მაისს, სახელმწიფო პირველ კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა იუბილე ცნობილ მუსიკოსის და პედაგოგის ია კარგარეთელის 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. იუბილეს აურაცხელი საზოგადოება დაესწრო, ბევრი უბილეთობის გამო უკან დაბრუნდა. კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა წაიკითხა მოხსენება ია კარგარეთელის სამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობის შესახებ.

აგრეთვე ი. გრიშაშვილმა წაიკითხა მოხსენება მის ხალხურ პოეზიაზე. შემდეგ გაიმართა დიდი და ფრიად საინტერესო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სხვა და სხვა გუნდებმა კავსაძის, მაისურაძის, კალანდაძის და სხ. ლოტბარობით, რომლებიც ასრულებდენ კარგარეთელის ნაწერებს. მეორე განყოფილებაში საოპერო მსახიობებმა სარაჯიშვილმა, კავსაძემ და სხ. შეასრულეს იუბილიარის რომანსები. დასასრულ იუბილარს საზოგადოება გუნდებთან ერთად შეხვდა სიმღერით „მრავალჟამიერ". ტფილისის ერთ-ერთ ქუჩას აღმასკომის დადგენილებით დაერქვა მისი სახელი, სახ. კომისართა საბჭომ გადასცა. 50 მილიონი, იუბილიარს მიულოცეს და აგრეთვე საჩუქრები მიართვეს: ტფილისის თითქმის ყველა კულტურულ, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებმა. შემდეგ ფერეიდანელ ქართველების წარმომადგენელმა სეიფოლა იოსელიანმა მიულოცა იუბილიარს ფერეიდანელ ქართველების სახელით, რომლის სიტყვას დარბაზი ოვაციებით შეხვდა. შემდეგ გაიმართა ბანკეტი.

დამსწრე

— **საფაროვ-აბაშიძის საღამო.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მსახიობის მარიამ საფაროვ აბაშიძის საღამო. მისივე მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით „მასკოტი" და „ვექილთან".

— **ახალი მწერლობის „პოეზიის დღე".** 6 მაისს ხელოვანთა სასახლეში გაიმართა ახალი მწერლობის „პოეზიის დღის" სადღესასწაულო საღამო. სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს გრიგოლ რობაქიძემ, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ვალ. გაფრინდაშვილმა, რაჟდენ გვეტაძემ, ნინო თარიშვილმა, გრიგოლ ცეცხლაძემ, შალ. აფხაიძემ, გიორგი ლეონიძემ და სხ. შემდეგ კაფე „პარიზში" გაიმართა დიდი ბანკეტი. ამავე დღისათვის გამოვიდა გაზეთი „პოეზიის დღე".

პროვინციაში

გორი.

პირველი მაისი—პირველი მაისის დღესასწაულმა ქ. გორში დიდის ზეიმით ჩაიარა. დღესასწაულს აურაცხელი ხალხი დაესწრო: ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი, ახლო-მახლო სოფლის გლეხობა, ადგილობრივი მცხოვრებნი და სხ. იქნა მოწყობილი საზეიმო პროცესია, დიდი მიტინგი მარქსის მოედანზე. საუცხოვო სანახავი იყო მოედანი, რომელზედაც ფრიალებდა უთვალავი წითელი დროშები. საღამოზე იქნა გამართული უფასო წარმოდგენა—კონცერტი. მთელი ქალაქი მორთული იყო წითელი დროშებით, მწვანე ტოტებით და ლოზუნგებით. ღამე გაჩირაღდნებული იყო ელექტრონის ლამპებით.

ბ.

ხაშური.

უმუშევარ ახალგაზრდობის კვირეული ხაშურში და ქ. სურამში ჩატარდა ძალიან კარგად. კვირეულის ჩამტარებელი კომისია სასწრაფოთ შეუდგა საქმის მოგვარებას.

მთელ კვირის განმავლობაში იმართებოდა წარმოდგენები, საღამოები უმუშევარ ახალგაზრდობის სასარგებლოდ, შეწირული იქნა პროცენტები ვაჭრებზე მთელ კვირის განმავლობაში. ორჯერ მთელ ქალაქში შემოტარებული იქნა ყულაბები, აგრეთვე გაწეული იქნა მუშა-მოსამსახურეებში ფართე კამპანია კვირეულის მნიშვნელობის შესახებ, რასაც განსაკუთრებით რკინის გზის დეპოს და მოძრაობის მუშა მოსამსახურეები შეგნებით შეხვდნენ და მათ უყოყმანოთ გადადვეს თავიანთი ჯამაგირიდან ნახევარი დღის ხელფასი. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს უმუშევრების კვირეულს თვითონ ქალაქის მუშა-მოსამსახურეებმა,—რომლებმაც აგრეთვე შეიტანეს თავიანთი წვლილი ამ დიადი საქმისათვის, როგორიც არის უმუშევარ ახალგაზრდობის დახმარება. ჯერ ჯერობით გადადებული თანხის შეკრება მთლიანად არ მომხდარა, მაგრამ უკვე შევაგროვეთ და გარდავგზავნეთ უმუშევარ ახალგაზრდობის ცენტრალურ კომისიაში სამას სამოცდა ორი მილიონი მანეთი, დანარჩენი თანდათანობით გროვდება და ამ დღეებში ისიც გარდაგზავნილი იქნება.

ხაშურის და სურამის უმუშევარ ახალგაზრდობის დამხმარე კომისიის თავმჯდომარე: პ. ზაკერია.

4 მაისი. 23 წ.

[illegible]